ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის

სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

მალვინა დიასამიძე

# ქართული სასკოლო განათლების სისტემის ფორმირების აქტუალური საკითხები აჭარაში 1878-1917 წლებში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: განათლების აკადემიური დოქტორი,

ასოც. პროფესორი - რომან აბაშიძე

**ხიჭაური 2019**

## ა ნ ო ტ ა ც ი ა

მალვინა დიასამიძის სამაგისტრო ნაშრომში ,,სასკოლო განათლების სისტემის ფორმირების აქტუალური საკითხები აჭარაში 1878-1917წწ“ განხილულია მოცემულ წლებში აჭარის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა. სამაგისტრო ნაშრომი ასევე მოიცავს  აღნიშნულ წლების ისტორიას იმის შესახებ, თუ როგორ ვითარდებოდა მაჰმადიანური სასკოლო განათლების სისტემა და როგორ ცდილობდა ის აჭარაში ანტიეროვნული იდეოლოგიის გატარებას.

ნაშრომში აღწერილია და გაანალიზებულია ცარიზმის სასკოლო განათლების სისტემის ფორმირების საკითხები; ასევე მოცემულია, თუ როგორ იკიდებდა აჭარაში ფეხს ქართული სასკოლო განათლების კერები და როგორ ცდილობდა ეს სასკოლო დაწესებულებები ურთულეს პირობებში აქაურ მოსახლეობაში ეროვნული ცნობიერების განმტკიცებას.

ნაშრომი შედგება შესავალის, ოთხი თავის, დასკვნებისა და ლიტერატურისაგან.

# Abstact

In a master degree of Malvina diasamidze, ,, The school of education system tu formacion issues in Achara, 1878-1917 years,'' discussed in these years the social-political, educational and culture condition of Achara.

For a master degree include is a how develop  Islamic in school education. How did it try to intensive producted into national ideology.

Also there is issue, if how to improve Gorgian school education in Achara and how to try to improve national perception in difficult condition.

The science relate is complited industry, four units, conclusion and literature.

# შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი .....4

თავი I. აჭარის სოციალურ-პოლიტიკური, საგანმანათლებლო და კულტურული ვითარება დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე.....11

თავი II. ქართული სასკოლო განათლების ფორმირების საკითხები აჭარაში 1878-1917 წწ

§ 1. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ როლი აჭარაში სასკოლო განათლების გავრცელებისათვის .....19

§ 2. „ქართული საქველმოქმედო საზოგადოების“ როლი აჭარაში სასკოლო განათლების განვითარებისათვის .....34

თავი III. მაჰმადიანური სასკოლო განათლება .....55

თავი IV. რუსეთის თვითმპყრობელობის სასკოლო განათლების სისტემა აჭარაში 1878-1917 წლებში .....63

დასკვნები.....69

გამოყენებული ლიტერატურა .....73

# შესავალი

ცივილიზაციის განვითარების პროცესში განათლების სისტემას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. განათლებამ, როგორც ქვეყნის საზოგადოებრივი ყოფის პრიორიტეტულმა დარგმა, საუკუნეების განმავლობაში მრავალი ცვლილება განიცადა და მტკიცე ადგილი დაიკავა საზოგადოების განვითარებაში.

მსოფლიო პედაგოგიკის ისტორიის შესწავლით ვრწმუნდებით, რომ ყოველი ახალი საზოგადოებრივი ფორმაციის დამკვიდრებას აუცილებლდ მოსდევდა აღზრდისა და განათლების სფეროს შესაბამისი გარდაქმნაც. ახალი საზოგადოებრივი ცხოვრებით ნაკარნახევი საგანმანათლებლო რეფორმები სერიოზულ წარმატებას აღწევდა იქ, სადაც ამ ურთულესი პროცესის წინამძღოლად მეცნიერული აზრი ბატონობდა. ნებისმიერი რეფორმა, რომელიც ცხოვრებით არის ნაკარნახევი, მეცნიერულ დასაბუთებას საჭიროებს. ამიტომაც განათლების რეფორმის დახასიათებისას, აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება ყველა კონკრეტული დეტალს, მათ შორის ქვეყნის ისტორიულ  წარსულს და კულტურული ცხოვრების მახასიათებლებს.

აჭარა, როგორც ძველი მესხეთის შემადგენელი ნაწილი სისხლხორცეულადაა დაკავშირებული დედასაქართველოს ძირძველ

ისტორიასთან. აჭარის მკვიდრნი მრავალი საუკუნეების მანძილზე თავიანთ ძმებთან – ქართველებთან ერთად იბრძოდნენ უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ, იცავდნენ მათ სამშობლოს, მამულს, ენას, სარწმუნოებას, მაგრამ ისტორიულმა ბედუკუღმართობამ აჭარა მოწყვიტა საქართველოს და სამი საუკუნის მანძილზე ოსმალთა ბატონობის ქვეშ მოაქცია, რამაც ნეგატიური როლი ითამაშა ამ კუთხის ცხოვრების ყველა სფეროზე და განსაკუთრებით ხალხის განათლებაზე, კულტურაზე, ზოგადად, ეროვნულ ცივილიზაციაზე.

სამასწლიანი ბატონობის დასრულების და დედასაქართველოსთან დაბრუნების შემდეგ, აჭარას, მაინც მძიმე პირობებში უხდებოდა ჭრილობების მოშუშება, რადგან იგი აღმოჩნდა რუსეთის ბატონობაში, რომელსაც, როგორც ყველა დამპყრობელს არარად მიაჩნდა ადგილობრივი მოსახლეობის ეროვნული პრობლემების მოგვარება და ხელშეწყობა. საჭირო იყო აჭარის მოსახლეობის ეროვნული ცნობიერების აღდგენა, რაც უმეტესწილად განათლების სფეროს უნდა ეკისრა. ეს კი მისი მწყობრი სისტემის შექმნით გახდებოდა შესაძლებელი.

სახალხო განათლების სისტემა ეწოდება გარკვეული პრინციპების საფუძველზე აგებულ სასწავლო-სააღმრზდელო დაწესებულებათა იმ ქსელს, რომელიც მიმართულია ცალკეული ქვეყნის მიზანმიმართული სწავლებისა და აღზრდის განხორციელებისაკენ.

სიტყვა ,,სისტემაში“ იგულისხმება გარკვეული ელემენტების, მისი შემადგენელი ნაწილების არსებობა და მათ შორის ლოგიკური კავშირები.

სახალხო განათლების სისტემისათვის დამახსიათებელია მის ცალკეულ რგოლებს შორის კავშირი, რომლებიც განათლების სხვადასხვა დონეს იძლევა. გამოკვეთილია ორი ძირითადი პრინციპული მიდგომა ამ კავშირების უზრუნველსაყოფად: ,,ერთიანი სისტემა აგებული მემკვიდრეობითობაზე, რომელიც

უზრუნველყოფს განათლების ერთი საფეხურიდან მეორეზე მის ბუნებრივ გადასვლას და დუალიზმი, ე. ი. სასწავლო დაწესებულებათა ორი, პარალელური სისტემის არსებობა, რომლის დროსაც არ არის შესაძლებელი ერთი სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებიდან მეორეზე გადასვლა.“ აჭარაში არსებული ვითარება მხოლოდ დუალისტური პრინციპებით აგების წინაპირობას იძლეოდა.

უცხო ძალის მიერ აჭარისათვის თავს მოხვეულმა უცხო სარწმუნოებამ, ენამ და საგანმანათლებლო სისტემამ შეაფერხა ადგილობრივი მოსახლეობის კულტურული განვითარება; დაირღვა ის კანონზომიერება, რომლის მიხედვითაც, ხალხის სრულყოფილი გონებრივი და სულიერი განვითარებისათვის აუცილებელი სწავლება და აღზრდა უნდა მიმდინარეობდეს მშობლიურ ენაზე, ხალხის სულიერი კულტურა ყალიბდებოდეს ეროვნულ ტრადიციებზე.

წინამდებარე ნაშრომის თემის აქტუალობის ერთი ასპექტიც არის იმის ჩვენება, რომ ნებისმიერი ფორმით განხორციელებული დაპყრობითი პოლიტიკა დამანგრეველი ძალისხმევით მოქმედებს დაპყრობილი ხალხის საგანმანათლებლო სისტემასა და ეროვნული კულტურის განვითარებაზე.

თემის აქტუალობა მდგომარეობს იმაშიც, რომ აჭარის სწორედ ამ პერიოდის ისტორიის თავისებურება განაპირობებს მასთან ორგანულად დაკავშირებულ სასკოლო განათლების სისტემის სპეციფიკურობას და იგი ლაიტმოტივად გასდევს აჭარის განათლების სფეროს 1878-1917 წლებში.

მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში გახსნილ პირველ ქართულ სკოლებს, თურქულ მედრესესა და იმპერიული რუსეთის რუსიფიკატორული პოლიტიკის გამტარებელ სასწავლო დაწესებულებებს უხდებოდა ბრძოლა უპირატესობის მოსაპოვებლად. ქართულმა სკოლამ ორი ათეული წლის

განმავლობაში შეძლო აჭარის მოსახლეობაში ნდობის მოპოვება, რამაც განაპირობა აქაური მკვიდრი მოსახლეობის ნაციონალური შეგნების ჩამოყალიბება.

აჭარაში 1878-1917 წლების და არამარტო ამ წლების სასკოლო განათლების შესახებ დღემდე არაერთი ნაშრომია გამოქვეყნებული. მათი ავტორები (გ. ბაბილოძე, გ. ნიორაძე, ა. გობრონიძე, ვ. წულუკიძე, ე. ცივაძე, ნ. გუგუნავა) კეთილსინდისიერად იკვლევდნენ ცალკეულ ასპექტებს, რითაც ხასიათდება განათლების სასკოლო მდგომარეობა აჭარაში.

გრ. ბაბილოძის ნაშრომი ,,ნარკვევები განათლებისა და კულტურის ისტორიიდან " (ბათუმი, 1975 წ) გვიხატავს ოსმალთა სამასწლოვანი უღლისაგან გამოხსნილი და დედასამშობლოსთან დაბრუნებული აჭარის სასკოლო განათლების სისტემის საერთო მდგომარეობას. მკვლევარმა წამოაჩინა ,,ქართული საქველმოქმედო საზოგადოების " დიდი ღვაწლი აჭარის მოსახლეობის განათლებაში, რომელიც არა მხოლოდ განათლების, არამედ ცხოვრების სხვა სფეროებსაც შეეხებოდა. ავტორი ქართული პრესისა და საარქივო მასალებზე დაყრდნობით გვიჩვენებს საქველმოქმედო საზოგადოების საგანმანათლებლო მოღვაწეობის ეროვნულ ხასიათს და ცდილობს დაგვანახოს ამ საზოგადოების მიერ გახსნილი სკოლები როგორ უწყობდა ხელს აჭარის მოსახლეობის ეროვნული ცნობიერების  განმტკიცებას.

გ. ნიორაძის ნაშრომი ,,პირველი ქართული სკოლა ბათუმში" (თბილისი 1958 წ.) გაშუქებულია ,,ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების" ღვაწლი აჭარაში სასკოლო განათლების  განვითარების სფეროში, განხილულია ბათუმში პირველი ქართული სკოლის დაარსების ძირითადი მიზეზები, აგრეთვე მოცემულია ის სიძნელეები, რომლის პირობებშიც უხდებოდა სკოლას მოღვაწეობა ეროვნული მისიის აღსასრულებლად.

მნიშვნელოვანია აჭარის განათლების ისტორიის მკვლევარის ვახტანგ წულუკიძის ნაშრომი ,,პირველი ქართული სკოლა აჭარაში“ (ბათუმი, 1982 წ.) ავტორი წიგნის შესავალ ნაწილში ხაზს უსვამს კონკრეტულად ბათუმის პირველი ქართული სკოლის გახსნის მნიშვნელობას, განსაზღვრავს თურქთა ბატონობისაგან გათავისუფლებული აჭარისათვის ამ სკოლის დიდ როლს და ფაქტობრივად გვაძლევს ბათუმის პირველი ქართული სკოლის ისტორიას მისი დაარსებიდან მეოცე საუკუნის 70-იან წლების ბოლომდე.

მეტად საინტერესოა ასევე ნანი გუგუნავას ნაშრომი ,,მემედ აბაშიძე' განმანათლებელი “, (ბათუმი , 1997 წ.). ნაშრომის ავტორმა მკაფიოდ წარმოაჩინა მემედ აბაშიძის პიროვნება, მისი მსოფლმხედველობა, საგანმანათლებლო იდეები და პედაგოგიკური მემკვიდრეობა, განსაზღვრა მისი როლი აჭარის სასკოლო განათლების განვითარების სფეროში. ნაშრომში გამოკვეთილია აჭარის განათლების განვითარების ისტორიის ძირითადი ეტაპები, რომელსაც ავტორი ორ ნაწილად ჰყოფს: 1) აჭარის განათლების ისტორია დედასაქართველოსთან აჭარის დაბრუნებამდე: ა) აჭარაში განათლების ისტორია XVI საუკუნემდე; ბ) აჭარაში განათლების ისტორია თურქთა ბატონობის პერიოდში. 2) აჭარაში განათლების ისტორია დედასაქართველოსთან აჭარის დაბრუნების შემდეგ. ქ-ნი ნანი აჭარის განათლების ისტორიის ასეთ პირობით არქიტექტონიკას ამავე კუთხის ისტორიის სპეციფიკურობით ხსნის, რაც გამართლებულად მიგვაჩნია. ნაშრომში მემედ აბაშიძის დამსახურებასთან ერთად, ზოგადად წარმოჩენილია აჭარის განათლების ისტორიის პრობლემატური საკითხები.

სამაგისტრო ნაშრომის თემაზე მუშაობისას ძირითადად გამოვიყენეთ შემდეგი კვლევის მეთოდები:

ა) ისტორიული და პედაგოგიკური ლიტერატურის შესწავლა;

ბ) საარქივო წყაროების დამუშავება;

გ) მონაცემთა შედარებითი ანალიზი.

ჩვენი ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს აღზრდისადმი სახელმწიფოებრივ-ეროვნული მიდგომის თვალსაზრისი, ანუ რამდენად უწყობს აღზრდა ხელს მამულიშვილის ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებას; ეროვნული თვითშეგნებით აღზრდილია მამულიშვილი, ვისაც მტკიცედ სწამს, რომ საქართველოს შეუძლია ძლიერი მეზობლების გვერდით იცხოვროს და განვითარდეს დამოუკიდებლად, დაიცვას თავისი სუვერენული უფლებები და განავითაროს ეროვნული კულტურა.

ჩვენი ნაშრომის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას წარმოადგენს აჭარის განათლების ისტორიის მკვლევართა ნაშრომები, საარქივო მასალები, მოცემულ და შემდეგ წლებში გამოცემული ჟურნალ-გაზეთები.

ჩვენი კვლევის მიზანია 1878-1917 წლების აჭარაში სასკოლო განათლების განვითარების და ფორმირების ისტორიის შესწავლა. დასახული მიზნის მისაღწევად სამაგისტრო ნაშრომის ამოცანაა განვიხილოთ და წარმოვაჩინოთ შემდეგი საკითხები:

_ განათლების სისტემა აჭარაში 1878-1917, თურქული განათლების სისტემის ნარჩენების, რუსული იმპერიული სასკოლო სისტემის და ქართული ეროვნული სკოლის განვითარების სინქრონულ ვითარებაში.

_ აჭარაში სასკოლო განათლების მდგომარეობა 1878-1917 წწ.

დასახული ამოცანის განხორციელებისათვის განისაზღვრა ნაშრომის სტრუქტურა, რომელიც შედგება შესავლის, ოთხი თავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურისაგან.

## თავი-I

## აჭარის სოციალურ – პოლიტიკური, საგანმანათლებლო და კულტურული ვითარება დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე

აჭარა, როგორც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, უძველესი დროიდან იზიარებდა ქართველი ტომების

ისტორიულ ხვედრს. მას არ ჰქონია და არც შეიძლებოდა ჰქონოდა ცალკე ისტორია.

მე-15 საუკუნის საქართველოს საფრთხე დაემუქრა ოსმალეთის იმპერიისაგან.

1453 წელს ოსმალებმა აიღეს კონსტანტინეპოლი, ხოლო რვა წლის შემდეგ ტრაპიზონის საკეისრო შემუსრეს და უშუალოდ მოადგნენ საქართველოს სამხრეთ საზღვარს.

სამხრეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ აღწერეს მოსახლეობა და შეადგინეს ე. წ. ,,გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ ამის შემდეგ დამყარდა მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ოსმალური, ანუ აღმოსავლური წესები. მოსახლეობა დაბეგრეს სხვადასხვა გადასახადებით, რაც თავისებურად განსხვავდებოდა ქართული საგადასახადო სისტემისაგან. მოხდა მიწების კატეგორიებად დაყოფა და მისი სამხედრო და რელიგიური ნიშნით დანაწილება: ,,მიწებს მიიღებდა მხოლოდ მუსლიმანი და ისიც სამხედრო პირი. ამრიგად, ქართული მიწა-წყალი გადავიდა სულთანის მოხელეების ხელში. მაშასადამე, სულთანი მოსახლეობის გამუსლიმანებისათვის გარდა ცეცხლისა და მახვილისა მიმართავდა ეკონომიკურ იძულებას: ან გამუსლიმანება, სამხედრო სამსახურში შესვლა და მიწის შენარჩუნება, ან მამულის, ქონების დაკარგვა და გადასახლება.“ (ხ.ახვლედიანი, ბათუმი 1956, გვ.28)

მიუხედავად იმისა, რომ აჭარა თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში ჩამოშორებული იყო თავის დედასამშობლოს – საქართველოს, აჭარის იძულებით გამაჰმადიანებული მოსახლეობა სულითა და გულით ისწრაფოდა შეერთებოდა თავის ქრისტიან ძმებს.

1877-1878 წლების რუსეთ – თურქეთის ომის დროს გამარჯვება რუსეთის არმიას ხვდა წილად.

1878 წელს ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით აჭარა რუსეთს გადაეცა; აჭარაში დამყარდა რუსული ადმინისტრაციული მმართველობა და კანონმდებლობა. იგი ადმინისტრაციულად დაექვემდებარა კავკასიის მეფისნაცვალს. მიუხედავად იმისა, რომ აჭარის გათავისუფლებას ოსმალთა ბატონობისაგან რუსეთი არ განიხილავდა საქართველოს ეროვნული ინტერესების პრიზმაში, საქართველოსათვის მაინც ჰქონდა პოზიტიური მნიშვნელობა; შექმნილი ვითარება ქვეყნისა და ხალხის გადარჩენის ერთადერთი გზა იყო.

ამ მართლაც ისტორიულ ფაქტს დიდი მოწონებით შეხვდა მოწინავე ქართველი ინტელიგენცია. ილია ჭავჭავაძე აჭარის დედასასამშობლოსთან დაბრუნების თაობაზე წერდა: ,,ბერლინის ხელშეკრულებამ ჩვენ ერთი დიდი სიკეთე შეგვძინა; ამ მხრით შარშანდელი წელიწადი ფრიად ღისრსსახსოვარია; ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცნი, ჩვენთან ერთად ,,მებრძოლი შავი ბედისა'', ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლების და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო დღეს ჩვენ შემოგვიერთდა და თუ კარგად მოექცევიან ვის ხელთაც აწ იმათი ბედი, ჩვენთან იქნება კიდევ სამუდამოდ.“ (ჭავჭავაძე ი,- ჟურნალი „ივერია“, 1879, N1)

მართალია, აჭარაში და ქართველებით დასახლებულ სხვა ახლად დაბრუნებულ რაიონებში სერიოზულ ანტიცარისტულ გამოსვლებს ადგილი არ ჰქონია, მაგრამ სულთნის აგენტებმა, რომელთა საქმიანობას გარკვეული მოსაზრებით ხელს არ უშლიდნენ რუსეთის ადგილობრივი ადმინისტრაციის მოხელეები, შეძლეს აჭარის მოსახლეობის ერთი ნაწილისთვის იმის შთაგონება, რომ თითქოს რუსეთის მფარველობის ქვეშ მყოფი აჭარლები აღმოჩნდებოდნენ უარეს ყოფაში, ვიდრე თურქთა ბატონობის დროს. ამით ისინი უბიძგებდნენ მათ

მუჰაჯირობისაკენ – თურქეთის შორეულ და უკაცრიელ ადგილებში გადასახლებისაკენ.

მუჰაჯირობას ხელს უწყობდნენ ცარიზმის შოვინისტი მოხელეებიც. ცარიზმს აინტერესებდა აჭარის სუბტროპიკული მხარის გათავისუფლება ადგილობრივი მოსახლეობისაგან და ამ ტერიტორიებზე რუსული კოლონიების შექმნა. ამ ფაქტს ისიც ადასტურებს, რომ 1883 წელს მუჰაჯირთა ერთი ნაწილი უკან დაბრუნდა, მაგრამ ცარიზმის მოხელეებმა უკან დაბრუნების უფლება არ მისცეს. ,,ამის მოწმე ყოფილა მწერალი გლებ უსპენსკი, რომელმაც მკაცრად ამხილა არხიპოვი და სხვა მოხელეები. აჭარლებს ექომაგებოდა. ამხელდა აჭარელთა მიწების გაყიდვას ვიღაცაების მიერ...'' (ბექირიშვილი ი. ბათუმი,გვ.10)

აჭარლების თურქეთში გადასახლებას განსაკუთრებით უწყობდნენ ხელს ხოჯები. თუმცა მათ შორის არსებობდნენ ისეთი პირებიც, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ ასეთ აგიტაციას. მაგალითისთვის შეიძლება გავიხსენოთ ლომან ეფენდი ქარცივაძე და ნური ბერიძე, რომელთა მიერ ხალხში გაწეულმა მუშაობამ მნიშვნელოვნწილად შეამცირა მუჰაჯირთა რიცხვი.

რუსეთ – თურქეთის საზავო ხელშეკრულების თანახმად, მუჰაჯირები სამი წლის განმავლობაში (1878-1881წწ.) უნდა გადასახლებულიყვნენ ბათუმის ოლქიდან. მუჰაჯირად წასულთა ზუსტი რიცხვი არ არსებობს. სხვადასხვა რიცხვს ასახელებს გენერალი სტეპანოვი, ა. ფრენკელი, ზ. ჭიჭინაძე. დღესდღეობით დაახლოებით დადგენილია, რომ ბათუმის ოლქიდან მუჰაჯირად წასულა 10-15 ათასი კაცი.

მუჰაჯირად წასული აჭარლები ტოვებდნენ თავიანთ მოძრავ-უძრავ ქონებას, რასაც ჩალის ფასად იძენდნენ აღა-ბეგები, სხვადასხავა ქვეყნიდან შემოსული ვაჭრები და ადგილობრივი ადმინისტრაციის მოხელეები.

ქართველი ინტელიგენცია თავგამოდებით იბრძოდა მუჰაჯირობის წინააღმდეგ; აჭარლების დასახმარებლად შეიქმნა სპეციალური საზოგადოება, რომელიც ახსნა-განმარტებას აწარმოებდა არა მარტო აჭარის მოსახლეობაში, არამედ რუსეთის ადმინისტრაციულ მოხელეებთანაც, რათა შეემცირებინა მუჰაჯირთა რიცხვი.

ოსმალთა ბატონობა შეიცვალა მეფის რუსეთის რეაქციული ბატონობით. დაიწყო რუსეთის თვითმპყრობელობის შემტევი ბრძოლა ძველი მიზნების პრაქტიკულად განხორციელებისათვის, რაც გამოიხატა ქართული მიწების მიტაცება – დასაკუთრებაში. მეფის მთავრობა ცდილობდა აჭარის სანაპირო ზოლიდან აეყარა აჭარლები და მათ ადგილზე რუსეთის გუბერნიებიდან გადმოესახლებინა ხალხი, რამაც წინა პლანზე წამოწია დემოგრაფიული კრიზისის საშიშროება.

აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნებისთანავე, საქართველოში ფართო მოძრაობა გაიშალა ,,ბედისაგან მივიწყებულ ძმებთან'' გაცნობა- დაახლოება- შეთვისებისათვის და ეს, პირველ რიგში, ქართულ ენაზე სწავლა-განათლების გავრცელებაში უნდა გამოხატულიყო. ეს იქნებოდა მძლავრი სტიმული ახლადგამოხსნილ ქართველ მუსლიმანთა ეროვნული გაცნობიერებისა და კულტურული პროგრესის საქმეში.

ისლამური სამყაროს რეაქციული წრის წარმომადგენლები კვლავაც ცდილობდნენ ისლამიზაციის პროცესის გაღრმავებას, მეფის რუსეთის ჩინოვნიკები კი გარუსებას და ასეთ კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი მთელი ქართველი მოწინავე ინტელიგენცია ერთ მუჭად ერთიანდება, რათა ძმური დახმარების ხელი გაეწოდებინა აჭარისათვის. განუზომელია ამ მხრივ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, სერგეი მესხის, ზაქარია ჭიჭინაძის და სხვათა ღვაწლი.

აჭარაში სკოლების გახსნის საქმეში განსაკუთრებით მეტად დიდი როლი ითამაშა ,,ქართველთა შორის წერა - კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ.“

პროფესორი ალექსანდრე გობრონიძე წიგნში ,,ი. გოგებაშვილი და აჭარა“ წერდა: ,,აჭარელი ბავშვებისათვის სკოლების გახსნა და ბავშვების სკოლაში მიზიდვა ყველას აინტერესებდა. ამ საქმეს ი. გოგებაშვილი დიდ ყურადღებას უთმობდა. იგი აჭარაში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დავალებით დადიოდა და პრაქტიკულ დახმარებას უწევდა. ი. გოგებაშვილს, როგორც განმანათლებელს, ერის წინსვლის მთავარ საშუალებად მიაჩნდა სკოლა, მრავალტანჯული აჭარის  აყვავება-აღორძინებას იგი ქართული სკოლის გახსნა-დაარსებაში ხედავდა. ( გობრონიძე ა, ბათუმი 1970)

ილია ჭავჭავაძეც აჭარის მოსახლეობის ეროვნული გათვითცნობიერების, თავიანთ ქრისტიან ძმებთან, ქართველებან სულიერად შეკავშირების უმნიშვნელოვანეს წინაპირობად სასკოლო დაწესებულებების გახსნას მიიჩნევდა, რომ ,, ... ეს სკოლები სხვა ყოველს საშუალებაზედ მეტად სულითა და გულით შემოგვიერთებენ აჭარისა და ქობულეთის ერსა და ისევ ისე ძმურს სიყვარულს ჩამოაგდებენ ჩვენში, როგორც უწინ, იმათ ოსმალოს ხელში არ ჩავარდნის ხელში ყოფილა.“

პირველად ბათუმში, 1881 წლის მარტში, სწორედ ამ საზოგადოებამ ქართველი მაჰმადიანებისათვის დაარსა პირველი ქართული სკოლა –ორკლასიანი სასწავლებელი. ეს სკოლა იყო ბათუმის კულტურული ძალების თავშესაყარი, სადაც ტარდებოდა ზეიმები; სკოლა ასრულებდა ბიბლიოთეკის, კლუბის, კულტურის სახლის მოვალეობას. ამ სასწავლო დაწესებულებამ უდიდესი როლი შეასრულა აჭარლების ეროვნული გათვითცნობიერების საქმეში.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აჭარაში პირველი ქართული სკოლის გახსნამდე, 1880 წელს ქალაქ ბათუმში მოქალაქე მიხაილოვმა დააარსა კერძო სკოლა რუსულ ენაზე სწავლებით, სადაც თვიური შესატანი 5 მანეთი იყო. ამ სკოლას თავიდანვე ეტყობოდა, რომ დიდი დღე არ ეწერა და მართლაც რამდენიმე თვეში იგი დაიხურა.

სასკოლო განათლების განვითარებაში გარკვეული წვლილი შეიტანა ქალაქის თავმა ლუკა ასათიანმა. მან შეძლო კიდეც საზოგადოების გულის მოგება, მაგრამ ბევრი მოწინააღმდეგეც ჰყავდა ცარიზმის მსახურთა შორის. სიძნელეების მიუხედავად, ლუკა ასათიანმა ადგილობრივი შემოსავლებიდან გამონახა სახსრები და პეტერბურგიდან მიიღო ნებართვა გიმნაზიის გახსნის შესახებ და მართლაც 1897 წლის 14 სექტემბერს  გაიხსნა ბათუმის ვაჟთა კლასიკური გიმნაზია ერთი მოსამზადებელი და ორი პირველი კლასით.

მეფის რუსეთის ბატონობის პერიოდში სასკოლო განათლება ნელა იკაფავდა გზას, რადგან ცარიზმი სულაც არ ყოფილა დაინტერესებული ადგილობრივი მოსახლეობისათვის რეალური განათლება მიეცა. იგი არც აჭარის მოსახლეობის ეროვნული გათვითცნობიერებისათვის ზრუნავდა. მაგრამ სასკოლო დაწესებულებათა რიცხვი ნელ-ნელა იზრდებოდა. ,,განათლების სამინისტროს ნებართვით 1889 წლის 12 ივნისს ბათუმში გაიხსნა სამკლასიანი სასწავლებელი, 1887 წელს სკოლა-სომეხ გრიგორიანებისათვის, ხოლო 1890 წელს აღნიშნულ სკოლასთან შეიქმნა სპეციალური განყოფილება ქალებისათვის. 1890 წელს ბათუმელი ბერძნების სკოლის ასაშენებლად გამოიყო 400 საჟენი მიწა; ბერძნული სკოლა აშენდა ამავე წელს.'' (ახვლედიანი ხ.-ბათუმი,1978-გვ.22)

აჭარაში ქართული სკოლების გახსნა, უპირველესად, ქართული ენის შესწავლას, მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლებასა და ეროვნულ გათვითცნობიერებას ისახავდა მიზნად, მაგრამ პირველ ხანებში ეს ძნელად ხორციელდებოდა.

რუსეთის თვითმყრობელობამ რამოდენიმე სკოლა გახსნა აჭარაში, რომელთა უმრავლესობა პრაქტიკულად აქაური მოსახლეობისათვის გამოუსადეგარი იყო. სკოლებში რუსულ ენაზე სწავლების წარმართვა და აქ გაბატონებული პირობები აჭარელი ბავშვების არც ინტელექტუალურ განვითარებას ისახავდა მიზნად და არც მათ ეროვნულ გათვითცნობიერებას.

1914 წლის პირველ მსოფლიო ომის დროს მრავალ ჭირგამოვლილ აჭარას დიდი უბედურება დაატყდა თავს. აჭარაში თურქები შემოიჭრენ და ერთიანად ააოხრეს იგი. მოსახლეობის ნაწილი ძალით აჰყარეს და დედაბუდიანად გარეკეს ოსმალეთში, გარკვეულ ნაწილსაც ხელში იარაღი ააღებინეს და რუსე|თის ხელისუფლების წინააღმდეგ აამხედრეს. ბათუმის სამხედრო გუბერნატორმა მოსახლეობის გარკვეული ნაწილი რუსეთის შორეულ მხარეებში გადაასახლა; მიტოვებულ ოჯახებში კი კაზაკები ჩააყენეს.

უმძიმეს  მდგომარეობაში ჩავარდნილ აჭარის მოსახლეობას დახმარების ხელი ისევ საქართველოს  მოწინავე  ინტელიგენციამ  გაუწოდა. მათი თაოსნობით მოქმედება განაახლა  ,,ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ“.

საქველმოქმედო საზოგადოების ბათუმის განყოფილება იყო ის ცენტრი, საიდანაც ბათუმის ოლქის ქართველი  მაჰმადიანებისათვის ვრცელდებოდა ნივთიერი, საექიმო, იურიდიული და მორალური დახმარება. იგი სისტემატურად ეხმარებოდა გაჭირვებული აჭარის მკვიდრ მოსახლეობასაც.

დარბეული და კულტურულად ჩამორჩენილი აჭარის აღორძინება, დედასამშობლოსთან მისი დაახლოება – შემომტკიცება, რისთვისაც მოწინავე ქართველი საზოგადოება ზრუნავდა, მხოლოდ კულტურულ საგანმანათლებლო საქმიანობის გაჩაღებით იქნებოდა შესაძლებელი. ამიტომ ,,ქართული საქველმოქმედო საზოგადოების“ ინიციატივითა და გადაწყვეტილებით 1916 წელს

აჭარაში გაიხსნა პირველდაწყებითი ქართული სკოლა: 1) ყოროლისთავში 4 მარტს (ორკომპლექტიანი); 2) ხუცუბანში 6 მარტს (სამკომპლექტიანი); 3) ალამბარში 7 მარტს (ორკომპლექტიანი); 4) ჩხუტუნეთში 10 მარტს (ერთკომპლექტიანი); 6) ზედა აგარაში (ხულო) 15 მარტს (ერთკომპლექტიანი; 7) მოგვიანებით გაიხსნა სკოლა წყალისმერში (ერთკომპლექტიანი).'' (საქ. ცსა. ფN517 გვ.146)

ზემოთ დასახელებულ სკოლებში  სწავლება ქართულ ენაზე წარმოებდა, რასაც ყველანაირად ეწინააღმდეგებოდა ბათუმის ოლქის ადმინისტრაცია, პანთურქისტული ელემენტები, მუსლიმანი ფანატიკოსები. მიუხედავად ამისა, ,,ქართული საქველმოქმედო საზოგადოების" ძალისხმევით ქალაქის ადგილობრივი გამგეობის წევრებისა და მშრომელი მოსახლეობის მხარდაჭერით ეს სიძნელეები დაძლეული იქნა და განათლების წინსვლის კვალობაზე ამაღლდა კულტურის საერთო დონე, რამაც დიდი წვლილი შეიტანა აჭარის მოსახლეობის ეროვნული გათვითცნობიერებისა და კულტურული აღზრდის საქმეში.

დაიწყო აღორძინების პროცესი აჭარის მოსახლეობის ცხოვრების ყველა სფეროში. ოსმალთა მრავალსაუკუნოვანი ბატონობით გამოწვეული დიდი ბარიერები  საზოგადოებრივი  ცხოვრების ყველა სფეროში ნელ-ნელა იძლეოდა.

აჭარის მოსახლეობა ნელ-ნელა იშუშებდა თურქთა მრავალწლიანი ბატონობისაგან მიყენებულ ჭრილობებს, იგი აქტიურად ჩაება, როგორც სამეურნეო, ასევე კულტურული ცხოვრების ფერხულში.

# თავი II. ქართული სასკოლო განათლების ფორმირების საკითხები აჭარაში 1878-1917 წწ

## §1. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ როლი აჭარაში სასკოლო განათლების გავრცელებისათვის

ოსმალთა სამასწლიანი მძიმე ბატონობისაგან გათავისუფლებული აჭარის მოსახლეობის ძირითად ნაწილს ქართული ენა და ტრადიციები ჯერ კიდევ მტკიცედ ქონდა შემონახული და გაცნობიერებული ის, რომ ისინი საქართველოს შვილები იყვნენ.

აჭარაში რელიგიური ფანატიზმის ყველაზე უფრო ნეგატიური გამოვლინება სარწმუნოებისა და ეროვნულობის გაიგივებაში გამოიხატებოდა. კერძოდ, მძიმე ვითარებას ქმნიდა ის აზრი, რომ მუსლიმანს ეროვნება არ აქვს. ამ რეაქციულ თეორიას ძალით ნერგავდნენ ისლამის რჯულის ფანატიკოსები და მისი დამახასიათებელი სიმპტომებით  დიდ დაბრკოლებას უქმნიდნენ ქართველთა სულიერი ერთობის ჩამოყალიბებას.

ნანი გუგუნავა სამართლიანად წერდა: ,,როგორც ცნობილია, მუსლიმანური სარწმუნოების მქადაგებლები აიგივებდნენ რელიგიასა და ეროვნებას და მორწმუნეებს შთააგონებდნენ, რომ მუსლიმანს ეროვნება არა აქვს. მთავარია ის იყოს მუსლიმანი. ასეთი მრწამსის მქონე ადამიანისათვის ძნელი გასაგებია განსხვავება ეროვნებასა და სარწმუნოებას შორის. ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრება კი საუკუნეების მანძილზე იყო ბრძოლა ქართველობისა და

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის.'' (გუგუნავა ნ.-ბათუმი 1997 გვ.70)

მსოფლიოს ისტორიის გადასახედიდან ვრწმუნდებით ერთ საყოველთაო ჭეშმარიტებაში- ყოველი ხალხის ეროვნული ხასიათის, კულტურისა და ენერგიის სრულად გამოსავლენად აუცილებელია თავისუფლება, ტერიტორიული და იდეოლოგიური ერთიანობა. ჩვენდა სამწუხაროდ, ქართველ ერს ყოველთვის როდის ჰქონდა განვითარების ეს ხელსაყრელი პირობები. თუმცა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში არსებობს იმის თვალსაჩინო მაგალითებიც, როცა ქართველობას სრული შეგნებით გაუცნობიერებია ეს ზოგადასაკაცობრიო ჭეშმარიტება და ხანგრძლივი ბატონობის პირობებშიც ავითარებდა თავის სულიერ კულტურას, რისი გამოხატულებაა მოწინავე ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლების: ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ცხვედაძის, დიმიტრი ყიფიანისა და სხვათა მოღვაწეობა.

მოწინავე ქართული ინტელიგენცია ნათლად ხედავდა დედასამშობლოსთან ახლადშემოერთებულ აჭარის სოციალურ-პოლიტიკურ მნიშვნელობასა და აცნობიერებდნენ, თუ რა დიდი მუშაობა უნდა გაწეულიყო აჭარის მოსახლეობაში ეროვნული მეობის ჩამოყალიბების, აჭარის გადარჩენილი ქართული სიტყვის და ძირძველი ქართული ტრადიციების განახლებისათვის.

აჭარის მოსახლეობას დამოუკიდებლად არ შეეძლო ოსმალთა ბატონობისგან გამოწვეული ჩამორჩენილობის დაძლევა. ამას აჭარის ღირსეული შვილებიც კარგად გრძნობდნენ და ითხოვდნენ, დახმარების ხელი გამოეწვდინათ მათთვის.

მართლაც, ქართველთა რჩეულმა ნაწილმა ყურად იღო აჭარელთა გასაჭირი და სამოქმედოდ პრაქტიკული გეგმებიც დაისახა. დიდმა ილიამ ქართველ

მოწინავე ინტელიგენციას ასე მიმართა: „ახლა ჩვენ ერთი დიდი და უდიდესი მოვალეობა გვაწევს: ძმებს ძმურად უნდა დავხდეთ ყველგან და ყველაფერში; უნდა იმათთვისაც ვიზრუნოთ, როგორც ჩვენთვის, იმათთვისაც თავი გამოვიდოთ, როგორც ჩვენთვის. თუ ჭირში ვუძმეთ, ჭირში მივეშველენით, ჩვენი ერთმანეთის დარღვეულის კავშირის გაბმაც უეჭველია. ეს ისმინეთ და გააიგივეთ ქართველობა! გაგვიხსნის გზას მაგ კავშირის გაბმისათვის? აკაკი წერეთელმა თქვა ჩვენც ვიტყვით, რომ ამისათვის ერთი უებარი სახსარია: სწავლა, ცოდნა და მეცნიერება.“ (ჭავჭავაძე ი,- „ივერია“, 1879, N1)

დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ აჭარისათვის სხვა უმნიშვნელოვანეს პრობლემებთან ერთად მთავარი მიანც ეკონომიკური და კულტურული ჩამორჩენის აღმოფხვრა იყო და მისი დაძლევის საშუალებად, უწინარეს ყოვლისა სწავლა-განათლება იგულისხმებოდა, რადგანაც ტრადიციისამებრ, განვითარებადი თუ განვითარებული ქვეყნებისათვის განათლება ყოველთვის წარმოადგენდა და წარმოადგენს ზემოთ დასახელებულ პრობლემათა დაძლევის ეფექტურ, პრიორიტეტულ სფეროს. ამ პრობლემის გადაწყვეტის სიმძიმე იტვირთა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ. „ცნობილია, რომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ხალხი არაოფიციალურად სახალხო განათლების სამინისტროს უწოდებდა, რადგან რუსეთის იმპერიის ე. წ. საგანმანათლებლო სისტემა არავითარ მზრუნველობას არ იჩენდა მეტროპოლიებში მცხოვრებ დაპრყრობილი ხალხების განათლებისათვის. კიდევ მეტი, თითო-ოროლა სასწავლებელი თუ არსებობდა და იქაც ქართული ენა როგოც სწავლების ენა, გამოდევნილი იყო.“ (წულუკიძე ვ,- ბათუმი 1982 გვ. 121)

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების თარიღად ოფიციალურად მიჩნეულია 1978 წლის 25 მაისი.

საზოგადოებამ დაარსების დღიდან უდიდესი ამაგი დასდო ქართული ეროვნული განათლებისა და კულტურის აღორძნებას და რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში აქტიურად ჩება.

რუსიფიკატორული პოლიტიკის პირობებში დედაენაზე ეროვნული სკოლის დაფუძნების იდეა დიდად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა.

თურქთა ბატონობის შემდეგ აჭარაში პირველი ქართული სკოლის გახსნა გადაწყვიტა ქართველთა შორის „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“. ამ მიზნით აჭარაში გამოიგზავნა ამ საზოგადოების ორი წევრი გიორგი წერეთელი და ნიკო ცხვედაძე. მათ ადგილობრივი გუბერნატორი დახმარებით უნდა შეერჩიათ ადგილი სკოლისათვის, რისთვისაც საჭირო იყო მატერიალური დახმარების გაწევა და კარგი მასწავლებლის შერჩევა. საჭირო იყო ისეთი პედაგოგი, რომელიც იქნებოდა არა მარტო საგნის კარგი მცოდნე და განათლებული, არამედ ექნებოდა იმის უნარ-ჩვევებიც, რაც შეაძლებინებდა მას ფაქიზად მოპყრობოდა მოსწავლეთა თავმოყვარეობას, არ შეხებოდა მათ მაჰმადიანურ სარწმუნეობას.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მიერ ბათუმში ქართული სკოლის დაარსებას დიდი მისია ეკისრა. მას თავიდანვე უნდა ჩაესახა პატარა აჭარლების გულში, რომ ისინი ქართული მიწის ღვიძლი შვილები იყვენ, სულითა და ხორცით ქართველნი და დედა ენასთან ერთად უშურველად მდიდარ ქართულ ლიტერატურაც უნდა დასწაფებოდნენ.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობამ 1880 წლის 19 დეკემბერს წერილობით აცნობა ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს, რომ სკოლისათვის საჭირო შენობა უკვე ნაქირავებია, მზადაა სასკოლო ინვენტარი, სკოლის მასწავლებლად მოწვეული ჰყავთ

სამედიცინო-ქირურგიული აკადემიის ყოფილი სტუდენტი ალექსანდრე ნანეიშვილი.

განისაზღვრა სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დისციპლინები: საღვთო სჯული, ქართული ენა, რუსული ენა, არითმეტიკა, სუფთა წერა, გალობა, გიმნასტიკა.

როგორც ვხედავთ, სასწავლო გეგმა შესასწავლი დისციპლინებით არ არის გადატვირთული. ეს ალბათ, იმით იყო განპირობებული, რომ საწყის ეტაპზე უაღრესად ძნელი იყო აჭარელი ბავშვებისათვის მიეწოდებინათ მრავალფეროვანი მასალა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ისინი არ იყვნენ დაწაფებული სრულყოფილად ქართული ენის ნექტარს; და მაინც ძირითადი აქცენტი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ სრულიად კანონზომიერად, ქართული წერა-კითხვის უნარ-ჩვცევების გამომუშვებასა და ქართული კულტურის ათვისებაზე ჰქონდა გადატანილი. ამასთან ერთად, ქართულ ენას უფრო მეტი კვირეული დატვირთვა ქონდა ვიდრე რუსულ ენას. აი, რას წერდა გ. ნიორაძე ამის შესახებ: „ბათუმის სკოლის ასეთ სასწავლო გეგმაში განსაკუთრებით საყურადღებო ის ფაქტი იყო, რომ რუსული ენის სწავლებას სკოლაში იწყებდნენ მხოლოდ სწავლების მესამე წლიდან, ანუ მესამე განყოფილებიდან, რაც იმ დროისათვის მნიშვნელოვან პროგრესულ  მოვლენად უნდა ჩაითვალოს საღვთო სჯულს (მაჰმადის სჯულს რ. ა.) -კი მეოთხე განყოფილებიდან.“ (ნიორაძე გ,-თბილისი, 1958 გვ. 14)

ერთი თვის შემდეგ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი იანოვსკი წერილს უგზავნის ილია ჭავჭავაძეს და სთხოვს, რომ „ამ სკოლას ეწოდოს არა „ბათუმის სახალხო სკოლა“, არამედ „ქართული კერძო ერთ კლასიანი სასწავლებელი მე-3 თანრიგისა“, ხოლო როცა სკოლაში დაიწყება პროგრამით გათვალისწინებული ყველა საგნის სწავლება და სკოლას ეყოლება მეორე მასწავლებელიც, მაშინ სკოლას ეწოდოს „ქართული კერძო ორ კლასიანი

სასწავლებელი“. იანოვსკი კატეგორიულად მოითხოვს, რომ საღვთო სჯული მე-4 განყოფილებამდე უნდა ისწავლებოდეს, ხოლო რუსული ენის სწავლება სწავლების პირველი წლის მეორე ნახევრიდან უნდა იწყებოდეს და აქ მას უნდა დაეთმოს ყოველდღიურად ნახევარი, ან სამი მეოთხედი საათიო.“ (ნიორაძე გ,- თბილისი, 1958 გვ.45)

იანოვსკის კატეგორიულმა მოთხოვნებმა დიდი სიძნელის წინაშე დააყენა ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობა. ბათუმში მოსული ალ. ნანეიშვილი ცდილობს გაერკვეს არსებულ მდგომარეობაში და დამაჯერებელი ინფორმაცია მიაწოდოს საზოგადოების გამგეობას. ალ. ნანეიშვილი 1981 წლის 21 თებერვალს გამგეობისადმი მიწერილ წერილში იუწყება, რომ „სკოლის გახნა დაგვიანდა იმიტომ, რომ არ მქონდა სკოლის პროგრამა სამხედრო გუბერნატორ კომაროვისათვის. ეს უკანასკნელი კი ითხოვს რუსული ენის სწავლებას პირველი განყოფილებიდანვე ქართულის პარალელურად. უპროგრამოდ რომ დამეწყო მეცადინეობა, კომაროვი იმდენად უგუნურია, რომ სკოლას დამიხურავდა“. (საქ. ცსა. ფ. N481 საქ. 26, ფ24)

ალ. ნანეიშვილმა თხოვნით მიმართა ილია ჭავჭავაძეს, რომ სკოლის გახნის დღეს ბათუმს სწვეოდა. სკოლა საზეიმოდ გახსნა თბილისიდან ბათუმში საგანგებოდ ჩამოსულმა ილია ჭავჭავაძემ. ამ დროს ბათუმის გუბერნატორს გენერალ კომაროვს მოუხმია წარჩინებული პირნი და დაუვალებია სკოლისათვის კარგი ხოჯა გამოეძებნად; შემდეგ მადლობა გამოუცხადებია პოეტისათვის და სკოლა გახსნილად გამოუცხადებია. იმ დღეს, როგორც ცნობილია, მხოლოდ ხუთი ყმაწვილი დაესწრო მეცადინეობას, ისიც ჩინოვნიკთა შვილები. სკოლის მასწავლებლად, როგორც აღნიშნა დაინიშნა, ალ. ნანეიშვილი. ხოჯად კი ხ. ანანიძე.

1881 წლის 8 მაისს შეუდგენიათ ბათუმის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეთა სია, რომელშიც გვარის, სახელის, მამის სახელის, ასაკისა და წოდების

გარდა, სკოლაში მოსწავლეთა შესვლისა და სკოლიდან გასვლის თარიღებია მოცემული. სიაში მოსწავლეთა გვარები ჩამოთვლილია სარწმუნოებრივი ნიშნის მიხედვით. 30 მოსწავლიდან მართმადიდებელია 11, კათოლიკური სარწმუნოებისა 6, მაჰმადიანი - 13. მაჰმადიანი მოსწავლეები არიან ზია აბაშიძე -6 წლის, ულფვიე აბაშიძე - 9 წლის, (ერთადერთი ქალი - მ.დ.) შაბან ბოლქვაძე -12 წლის, მუსტაფა კაალოღლი - 13 წ. ხუსეინ კაალოღლი - 12 წ, ოსმან შიყნაძე - 12 წ, ალი აბაშიძე -12 წ, ფეზლი აბაშიძე - 14 წ, აბდი აბაშიძე -7 წ, ახმედ მელიქ-ზადე აბაშიძე -12 წ, ალი მელიქ ზადე აბაშიძე - 10 წ, ფევზი აბაშიძე - 8 წ, ოსმან ბეჟანიძე -13 წლის. (გუგუნავა ნ,- ბათუმი 1997 გვ.84)

თავდაპირველად, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მიერ დაარსებულ სკოლაში 30 მოსწავლე ირიცხებოდა, მაგრამ შემდეგში მოსწავლეთა რიცხვმა მკვეთრად იკლო, სკოლა თითქმის დაცარიელდა. საზოგადოების გამგეობამ დაიწყო სჯა-ბაასი სკოლის დახურვაზე. გაზეთი „დროება“ ამის თაობაზე წერდა: „გავლილ მაისში „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წლიური კრების დროს, ზოგიერთი პირები აღმოჩნდნენ, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ბათუმის სკოლას არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო, შინ რომ მიცვალებული გყავდეს გარეთ გავლას რა უნდაო (თითქოს ბათუმის ქართველები იგივე ქართველები არ არიან, როგორც ქართლ-კახეთისა , იმერეთისა და სხვა), უმჯობესია სადმე ჩვენში გავხსნათ სკოლა და იქ იქ დავხუროთო“ (მესხი ს,-,,დროება“ 1882 N270)

ბუნებრივია, აქ ასეთი კითხვა წამოიჭრება: მაინც რა იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ ქართულმა სკოლამ დასაწყის ეტაპზე წარმატებას ვერ მიაღწია? რატომ ვერ შეძლეს სკოლაში მაჰმადიან მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი მაინც მოეზიდათ?

მიზეზი კი შემდეგი ფაქტორით იყო განპირობებული: თურქოფილური იდეებით შეიარაღებული ხოჯები და მოლები ამჩნევდნენ, რომ ქართული სკოლა საუკუნეებით განცალკევებულ ქრისტიან და მაჰმადიან ქართველებს შეაკავშირებდა, ამიტომაც ცდილობდნენ სკოლის სამოქმედო არეალი მკვეთრად შეევიწროვებინათ. ამას ემატებოდა ისიც, რომ ბათუმის მოსახლეობა მცირერიცხოვანი იყო, შორეული სოფლებიდან კი ბავშვების ჩამოყვანა პრაქტიკულად ვერ ხერხდებოდა. პირველი ქართული სკოლის დაკნინებას ხელი შეუწყო ბათუმში გახსნილმა სამკლასიანმა სასწავლებელმაც, სადაც მასწავლებლად გამოცდილი ხოჯა ჰყავდათ მიწვეული, რამაც განაპირობა ქართული სკოლიდან ბევრი მაჰმადიანი მოსწავლის გადასვლა საქალაქო სასწავლებელში.

ბათუმის პირველი სკოლის უმძიმესმა მდგომარეობამ აიძულა ფოცხოვში მცხოვრები ნური ხიმშიაშვილს წერილი გაეგზავნა ილია ჭავჭავაძისათვის და ეთხოვა სკოლა გაეხსნათ შავშეთში, რათა მათ შვილებს ქართულ ენაზე ესწავლათ: „ ...თუ ახალი სკოლა არ გაიხსნება, იგი ითხოვს ბათუმის სკოლის გადატანას შვშეთში, მით უმეტეს, მათ უჭირთ მაჰმადიან ქართველთა შეგროვება. თუ ასეთი სკოლა გაიხსნება, საზოგადოების გამგეობამ მხოლოდ მასწავლებლის ჯამაგირი იხადოს, დანარჩენს მე თვითონ ვკისრულობო, სკოლის სახლსა და ბინას მასწავლებლისათვის მუქთად მივცემ და 60-80 მოსწავლეს შევკრიბავ სკოლაშიო.“ ( საქ. ცსა. ფ. 481, საქ. 26, ფ.68)

ბარათი ილიას იმავე წლის ნოემბერში მიუღია. გამგეობამ სკოლისათვის საჭირო მიწის ფართის შესარჩევად სერგეი მესხი გამოაგზავნა ბათუმში, მაგრამ მან ვერ შეძლო ჩასულიყო შავშეთში, თუმცა გამოთქვამდა სურვილს საკითხი დადებითად გადაწყვეტილიყო.

1982 წლის 19 ივლისიდან ბათუმის სკოლა ალ. ნანეიშვილისაგან გადაიბარა ახლად დანიშნულმა მასწავლებელმა მოსე ნათაძემ. მან უკეთ წარმართა სკოლაში

სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის პროცესი, მოსახლეობაშიც მოიპოვა ნდობა და შესაბამისად მოსწავლეთ რიცხვმაც იმატა. მან ბათუმში შეკრიბა პროგრესულად მოაზროვნე მაჰმადიანები და წერილობითი პირობა ჩამოართვა მათ, რომ სკოლაში შეიყვანდნენ ბავშვებს.

აჭარის სოფლებიდანაც ბევრმა გამოთქვა სურვილი სკოლაში სწავლის სურვილი. მშობლებიც ითხოვდნენ, რომ მათთვისაც ესწავლებინათ წერა-კითხვა.

მოსე ნათაძის ენერგიული, თავდაუზოგავი მუშაობა ბევრჯერ აღუნიშნავს საზოგადოების გამგეობას. 1883 წელს გიორგი იოსელიანს სკოლაში არსებული მდგომარეობა შეუსწავლია და მაღალი შეფასება მიუცია მოსე ნათაძის მოღვაწეობისათვის.

სერგეი მესხიც დადებითად აფასებდა მოსე ნათაძის მუშაობას: „ათი დღის განმავლობაში თითქმის მუდამდღე დავიარებოდი ნათაძის გაკვეთილებზედ და საზოგადოდ სასიამოვნო შთაბეჭდილებები გამოვიტანე. მ. ნათაძე, როგორც ეტყობა, გამოცდილი მასწავლებელია... ერთი სიტყვით, მოსე ნათაძის ხელში ჩვენი ბათუმის სკოლა საიმედო და სასურველი ნიადაგზე იქნება დამდგარი.“ (მესხი ს,- „დროება“, 1882, N270)

მოსე ნათაძის მიერ გაწეული დიდი მუშობის მიუხედავად, მაინც არ მოხერხდა მაჰმადიანი ბავშვების სკოლაში მასიურად მოზიდვა. იაკობ გოგებაშვილი და სხვებიც აღნიშნავდნენ, რომ, გაცემული ხარჯების მიუხედავად, სკოლა თავის მაღალ დანიშნულებას ვერ ამართლებდა, ვერ გადაიქცა აჭარელთა სწავლა-განათლების ცენტრად.

ი. გოგებაშვილი და გამგეობის ზოგიერთი წევრი ფიქრობდა, რომ მაჰმადიან ქართველთათვის ცალკე სკოლა გახსნილიყო ქობულეთშიც. ი. გოგებაშვილი დარწმუნებული იყო, რომ ქობულეთშიც გაცილებით მეტ ნაყოფს გამოიღებდა,

ვიდრე ბათუმის სკოლა და ქობულეთლებს მოუწოდებდა დახმარება აღმოეჩინათ საზოგადოებისთვის ამ ჩანაფიქრის განსახორციელებლად. იაკობ გოგებაშვილი წერდა: „უმთავრეს ხარჯს - ჯამაგირს მასწავლებლებისას, სკოლის ავეჯეულობის გაკეთებისას და წიგნების გაგზავნას სკოლაში, ყოველ შემთხვევაში თვითონ „წერა-კითხვის საზოგადოება“ იკისრებს, დანარჩენ მცირე ხარჯს, სახლის ქირას და სხვა. ქობულეთი უნდა გაუძღვეს, სადაც კი საქართველოში სკოლაა, სოფელი იხდისამდე თუმანს წელიწადში და ქობულეთს თუ ამის ნახევრის გადახდა გაუჭირდებაო. (გოგებაშვილი ი,-თბილისი 1954 გვ.262)

იაკობ გოგებაშვილის წინადადებას დიდი მოწონებით შეხვდა ქობულეთის საზოგადოება. 1987 წლის იანვარში ჩაატარეს საერთო კრება და „ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოებას“ ამცნეს ქობულეთელთა სურვილი ქართული სკოლის გახსნის შესახებ: „ ...აქაურმა სოფლებმა: ალამბარმა, სამებამ, პატ. ქობულეთმა და ჩურუქსუმ განჩინება შეადგინეს და მიჰმართეს ქართველთა შორის „წერა კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“, რომ მან მიიღოს ეს სკოლა თავის მფარველობს ქვეშ. სასკოლო სახლს იძლეოდა დაბა ჩურუქსუში აქაური ბეგი ასლან თავდგირიძე, სახლი გვარიანია, ეზო დიდი აქვს, სკოლას ცოტა შეკეთება უნდა. 15-16 თუმანზე ზევით არ გამოართმევს ბეგი ქირას „საზოგადოებას“, თუ მისი სახლი იქირავეს. (კომახიძე თ,-ბათუმი, 1995 გვ.22)

აღნიშნულმა კრებამ სკოლის დაარსებისთვის აირჩია მზრუნველთა კომიტეტი, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ: კინტრიშის უბნის უფროსის მოვალეობის აღმასრულებელი ალექსანდრე არობელიზე, ქობულეთის მკვიდრი დედა აღა ნიჭარაძე და გულო აღა კაიკაციშვილი; ეს უკანასკნელი ქართული პრესის საშუალებით ხშირად ეხმიანებოდა მთელ საქართველოს და ემუდარებოდა, რომ განათლების სხივი შეეტანათ თურქებისაგან დაჩაგრულ ამ ულამაზეს კუთხეში. საზოგადოებისადმი გაგზავნილ მიმართვას ხელს აწერდა 37 კაცი.

ქობულეთში ქართული სკოლის გახსნა ბევრ პრობლემასთან იყო დაკავშირებული. პრობლემათა ფინანსური მხარე გადაწყვეტილი იყო მაგრამ პრაქტიკული შედეგი არ ჩანდა. ამას სოფელ მაკვანეთის კერძო სკოლის მასწავლებლის კონსტანტინე გვარამაძის წერილებიც ცხადყოფს: „ შარშან მე მსურდა ქობულეთში პირველი დაწყებითი სასწავლებელი დამეარსებინა ქართველი მაჰმადიანებისათვის, მაგრამ დახმარება არავინ მომცა და აზრი დღევანდლამდე განუხორციელებელია. დღეს თავისი სკოლის გასამართავად ფონდი აქვს; აქა-იქიდან შეგროვილი, ამისათვის ამ ზაფხულს დიდ თადარიგში ვარ ქობულეთში სკოლის დაარსებისათვის, შარშან ქობულეთლებმა შენობა დამითმეს.“ (გვარამაძე კ,-1982,N153)

მეორე წერილში კი კონსტანტინე გვარამაძე გვაუწყებს: „... გაზეთ „ივერია“-ში დაბეჭდილი იყო ჩემი წერილი, რომელშიც ჩემს „ ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“ იმავე წერილში ვსთხოვდი დახმარებას და თუ არ დამეხმარებოდა, ამავე ქობულეთის სკოლის სახელობაზედ შეგროვილი ფულის დათმობას. არცერთისა და არც მეორის პასუხი არ მომსვლია, საქმე გაჩერებულია, როგორც იყო.“(გოგებაშვილი ი,-თბილისი, 1954 გვ.54)

ამ საშვილიშვილო იდეის ხორცშესხმისათვის აქტიურად დაიწყეს ბრძოლა გულო აღა კაიკაციშვილმა და დედა აღა ნიჟარაძემ. ქობულეთის მაზრის უფროსს წერილობით აცნობეს ქობულეთის საზოგადოების თხოვნის შინაარსი; ის წერილი საბოლოოდ ბათუმის ოლქის უფროსის ხელში აღმოჩნდა. ოლქის უფროსი დაინტერესდა მიღებული ინფორმაციით და მეორე დღესვე ჩავიდა ქობულეთში. დაიბარა სოფლის მამასახლისები და პირადად მოახსენა მადლობა ამ საქმის დამწყებთ. ადგილობრივი ხოჯების წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც გადაწყდა სკოლის დაარსება. ამ გადაწყვეტილების მიღებაში დიდი როლი შეასრულეს გულო კაიკაციშვილმა და დედე ნიჟარაძემ. მათ საზოგადოების დიდ ნაწილს შთააგონეს

სკოლის გახსნის აუცილებლობა და საქმემაც სწორი მიმართულება მიიღო. გულო კაიკაციშვილმა სკოლის მშენებლობისათვის შეისყიდა 500 მანეთად ღირებული თავდგირიძეების ვრცელი ნაკვეთი, რამაც სტიმული მიცა საზოგადოებას, რომ აქტიურად ჩაბმულიყო სკოლის მშენებლობაში. მოჰქონდათ სამშენებლო მასალები ხე კირი და სხვა.

შეკრებაზე გამოსულებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ქართველები იყვნენ და ამიტომაც კატეგორიულად მოითხოვდნენ სკოლაში ქართულ ენაზე ყოფილიყო სწავლება.

ქობულეთელთა სამართლიან მოთხოვნას ისიც უქმნიდა მყარ საფუძველს, რომ ქობულეთში ქართული წიგნის კითხვა მნიშვნელოვნად ვითარდებოდა. „ვაჭრები ძირითადად ქართულ ენაზე ავსებდნენ საბუთებს და ეს ტრადიცია მოსახლეობის სხვა ფენებშიც იკიდებდა ფეხს“. (კომახიძე თ,-ბათუმი, 1995 გვ.25)

ქობულეთის სკოლის საფუძველი 1890 წლის აგვისტოში ჩაიყარა. გათვალისწინებული იყო 14 ოთახის მოწყობა. სკოლის მშენებლობა წლის ბოლომდე უნდა დამთავრებულიყო. სკოლამ ფუნქციონირება 1895 წლიდან დაიწყო.

სკოლაში მეცადინეობის დაწყების შემდეგ ქობულეთელთა ინტერესი სწავლის მიმართ იმდენად დიდი იყო, რომ მოსწავლეთა რაოდენობა იმაზე მეტი აღმჩნდა, ვიდრე თავდაპირველად ვარაუდობდნენ. დღის წესრიგში ბიბლიოთეკის გახსნის საკითხიც დაისვა. სწორედ ამ გზით იყო შესაძლებელი საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

ამის თაობაზე მართებულად შენიშნავს თეიმურაზ კომახიძე წიგნში „აჭარის მოამაგენი“; „სკოლაში შემსვლელთა რაოდენობა ნორმაზე მეტი აღმჩნდა. საჭიროებამ მოითხოვა ქობულეთში გახსნილიყო ბიბლიოთეკა, რათა წიგნების

საშუალებით ხალხში გავრცელებულიყო წერა-კითვა. ამ საკითხის მოგვარებაც კაიკაციშვილმა (იგულისხმება გულო აღა კაიკაციშვილი - მ. დ.) იკისრა და თავის ოჯახში შექმნა ბიბლიოთეკა, რომელიც რამდენიმე ასეულ წიგნს შეიცავდა. წიგნის ფონდის შევსება ხდებოდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, ზაქარია ჭიჭინაძისა და სხვა მეცენატ ქართველ საზოგადო მოღვაწეების დახმარებით. წიგნზე მოთხოვნილება ძალიან დიდი იყო და ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა“. (კომახიძე თ,-ბათუმი, 1995 გვ.26)

გულო კაიკაციშვილი არა მარტო ერთ-ერთი სკოლის დამაარსებლად გვევლინება ქობულეთის რაიონში, არამედ პირველი ბიბლიოთეკის ფუძემდებლადაც. მან ჩურუქსუში დაარსებული სასწავლებლისათვის გამოყო 1200 მანეთი, გამოყო 80 წიგნი და დაარიგა ქართველ მაჰმადიანთა შორის. ქობულეთში სკოლის დაარსებამ დააინტერესა სხვა სოფლის მაცხოვრებლებიც და სურვილი გამოთქვეს მათთანაც გახსნილიყო სკოლები. სკოლების გახსნის შესახებ წერილებს აქვეყნებს გაზეთ „ივერიაში“ აბდულ მიქელაძე. იგი მადლობას უხდის „ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, აჭარის მოსახლეობაზე გაწეული ღვაწლისათვის და გულის ტკივილით აღნიშნავს: „მოგმართავთ თქვენ, ჩვენო საყვარელო ძმებო, და გევედრებით ქედაში სკოლა გაგვიმართოთ. ამ სკოლის გამართვით თქვენ დიდ დავალებას დაგვდებთ და იმედია, რომ ამას არც ჩვენ დაგივიწყებთ... კარგი სკოლა აჭარისთვის წამალი იქნება, რომ ჩვენს თხოვნას შეიწყნარებენ, შეიბრალებენ ამოდენა ქართველ მაჰმადიანთა შვილებს და ქედაში სკოლას გაგვიმართავენ. (მიქელაძე ა,-თბილისი, 1991, გვ.54)

ქობულეთისა და ქედის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი შეძლებისდაგვარად აგროვებდა ფულს. მაგალითად სოფელ ქობულეთის (არის სოფელი ქობულეთი - მ. დ.) და სოფელ ქედის მაცხოვრებლებმა შესაბამისად 311 და 52 მანეთი შეაგროვეს და მოითხოვეს სკოლის გახსნა, მაგრამ „ქართველთა

შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ ვერ შეძლეს სკოლის ქსელში გაფართოება. მოსახლეობის მიერ შეგროვილი თანხები საზოგადოების გამგეობამ სოფელ ქობულეთისა და ქედის მაცხოვრებელთა შვილების აღზრდას მოახმარა ბათუმის ქართულ სკოლაში.

გ. ნიორაძე თავის წიგნში „პირველი ქართული სკოლა ბათუმში“ გადმოგვცემს: „სამი წლის შემდეგ ბათუმის სკოლაში მუშაობას განაგრძობს მიხეილ შარაშიძე, რომელმაც ბათუმის სკოლას თავი გაანება 1898 წლიდან და მის მაგივრად მოწვეული იქნა თბილისის სასულიერო გიმნაზიის კურსდამთავრებული, მანამდე მასწავლებლად ნამუშევარი ისიდორე ივანეს ძე რამიშვილი, რომელმაც ბათუმის ქართული სკოლის გამგე მასწავლებლად იმუშავა 1903 წლის ივლისამდე.“ (ნიორაძე გ,-თბილისი, 1958 გვ.46)

მე-20 საუკუნის დასაწყისში ბათუმის სამრეწველო საწარმოთა მკვეთრმა მატებამ ბათუმის ქართულ სკოლაში მოსწავლეთა მატება გამოიწვია. დასავლეთ საქართველოდან ბათუმს მრავალრიცხოვანი მუშათა ნაკადი მოაწყდა. მიუხედავად იმისა, რომ ბათუმში იმ დროისათვის არსებობდა საქალაქო სასწავლებელი, ვაჟთა გიმნაზია, სახელოსნო სასწავლებელი, ქალთა გიმნაზია, ქალთა ორკლასიანი სასწავლებელი და რამდენიმე კერძო სკოლა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ დაარსებული სკოლა ერთადერთი ქართული სასწავლებელი იყო, რომელსაც ეტანებოდა ქართველ მასწავლებელთა დიდი რაოდენობა. მიუხედავად ამისა, სკოლაში მაინც ორი მასწავლებელი მუშაობდა, რომელთაც არ შეეძლოთ ამ რაოდენობის მოსწავლეთა კონტინგენტთან სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობის ეფექტურად წარმართვა. ამიტომაც მესამე მასწავლებლის მოწვევის საკითხი საზოგადოების გამგეობის განხილვის საგნად იქცა. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა

ხანგრძლივი დავისა და კამათის შემდეგ, ბათუმის ქართულ სკოლაში მე-3 მასწავლებლის მოწვევა დადებითად გადაწყდა. ამგვარად ბათუმის პირველ დამწყებითმა სკოლამ დაარსებიდან 20 წლის შემდეგ შეძლო მასწავლებელთა რიცხვის სამამდე, ხოლო მოსწავლეთა რიცხვის 200-მდე გაზრდა.

ბათუმის სკოლაში 1903 წლიდან მუშაობდნენ ი. გოგოლაშვილი, ა. გელაძე, ა. ლომინაძე, ბ. გელაზანია და სხვები.

ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, მართალია, ვერ გააფართოვა სასკოლო ქსელი აჭარაში, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საზოგადოების გამგეობამ იმ დროისათვის მაინც ყველაზე მეტი თანხა ბათუმის პირველი სკოლის დაარსებასა და მის ფუნქციონირებას მოახმარა. დიდი სიძნელეების მიუხედავად, ბათუმის ქართულმა სკოლამ თავისი მიზანი შეასრულა. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მისიაზე ისიც მეტყველებს, რომ მისი თავმჯდომარეები იყვნენ იმ დროისათვის გამოჩენილი ადამიანები: დავით ყიფიანი (1879-1889 წწ.), ილია ჭავჭავაძე (1887-1907 წწ.), გიორგი ყაზბეგი (1907-1921 წწ.). საზოგადოებამ იარსება 1927 წლამდე.

ამრიგად, ბათუმის ქართული სკოლა, რომელიც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თაოსნობით გაიხსნა 1881 წლის მარტში და 1920 წლამდე იარსება, რომელიც ქართული ენისა და კულტურის პროპაგანდას ეწეოდა თურქეთის სამასწლიანი ბატონობისაგან გათავისუფლებულ ბათუმის ოლქში. იგი მიზანსწრაფულობით აღვივებდა მაჰმადიან მოსწავლეებში ეროვნულ გძნობას, უპირისპირდებოდა ცარიზმის თვითმპყრობელურ, რეაქციულ, რუსიფიკატორულ პოლიტიკას. სკოლამ თავისი არსებობის მანძილზე, მიუხედავად იმისა, რომ ვერ შემოიკრიბა მაჰმადიან მოსწავლეთა დიდი კონტინგენტი, მაინც შეიტანა მნიშვნელოვანი წვლილი აჭარის მოსახლეობის დეფორმირებული

ცნობიერების გამოსასწორებლად, მაჰმადიან ქართველებში ეროვნული შეგნების ჩამოსაყალიბებლად, რამაც პრაქტიკულად განაპირობა დადებითი ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნა ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა შეკავშირებისათვის.

## §2. „ქართული საქველმოქმედო საზოგადოების“ როლი აჭარაში სასკოლო განათლების განვითარებისათვის

პირველმა მსოფლიო ომმა ნეგატიური ზეგავლენა იქონია აჭარის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაზე. აჭარის მოსახლეობის გარკვეული ნაწილის სახლ-კარი მთლიანად განადგურდა, ათასობით ადამიანი ლტოლვილად იქცა და უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. ცარიზმის ხელისუფლებამ აჭარის მოსახლეობა მოღალატეებად გამოაცხადა, რასაც მოჰყვა მასიური დაპატიმრებების სერია და რეპრესიები. ომმა სერიოზული დარტყმა მიაყენა სკოლებს. 1914 წლის ოქტომბრის დამლევს, ბათუმის ციხე-სიმაგრის კომენდანტის განკარგულებით, ისევე როგორც ზღვისპირა სხვა ქალაქების და რაიონების, ქალაქის სახაზინო სასწავლებლები, ქალთა და ვაჟთა გიმნაზიები, მარინეს ქალთა სასწავლებელი და

უმაღლესი დაწყებითი სკოლა და მათი პედაგოგები სასწავლო პროცესის გასაგრძელებლად ქუთაისში იყვნენ ევაკუირებული.

მრავალჯერ ნაგვემი აჭარა კვლავ უდიდეს განსაცდელში ჩავარდა. აჭარაში არსებულ მდგომარეობაზე ხულოს იმ დროინდელი მასწავლებლი რაფიელ ჩხაიძე, როგორც თვითმხილველი წერდა: „მიქრის ეტლი, დავუახლოვდით მთებს, რომლის ორივე კალთებზე სოფლები მოჩანდა, მაგრამ უადამიანო სოფელი რა სოფელია?... არსად ადამიანი! არსად სიცოცხლის ნიშანი არ ემჩნევა... ჯოჯოხეთია! მეეტლე გვეუბნება: „ეფენდი თქვენ უნდა ნახოთ და ისმინოთ რა გულშემზარავი ხმაურობაა ღამით ამ სოფლებში. ძაღლების ყეფა და კატების კნავილი აგატირებს, ისე მოსთქვამენ თავიანთი პატრონების დაკარგვას. ტირიან“... ავიარეთ 30 ვერსი. მხოლოდ სატირელი მდგომარეობაა. ყველა სოფელი დამწვარია, ყველგან სიცარიელე და ერთი-მეორეზე უფრო დამაფიქრებელი მდგომარეობაა“. (წულაძე ა,-ბათუმი, 1991 გვ 89-90)

აჭარას ამ საშინელ განსაცდელის ჟამს საქართველოს კვლავ მოწინავე ინტელიგენციამ გაუწოდა დახმარების ხელი. სწორედ მათი თაოსნობით დაიწყო ფუნქციონირება „ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ“, რომელიც ჯერ კიდევ 1907 წელს დაარსდა, მაგრამ ამდენ ხანს უმოქმედოდ იყო.

მემედ აბაშიძე წერდა: „ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას უანგარო შრომა და ღვაწლი მიუძღვის სამაჰმადიანო საქართველოში მშობლიური სკოლების გახსნისა და მაჰმადის სარწმუნოების თანამემამულეთა დაცვის საქმეში. ჩვენდამი მათი ამაგი და მზრუნველობა ვერ დაიფასების“... (აბაშიძე მ,-1916 N9)

საზოგადოების თავმჯდომარე იყო მიხეილ ვახტანგის ძე მაჩაბელი, სასკოლო სექციის თავმჯდომარე, ქართველი პედაგოგი ლუარსაბ ბოცვაძე; სასკოლო სფეროში მეთვალყურეობის ფუნქცია დაკისრებული ქონდა გრიგოლ ბურჭულაძეს,

რომელიც მანამდე მუშაობდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ბიბლიოთეკებისა და სკოლების ხელმძღვანელ-მმართველად.

ქართული საქველმოქმედო საზოგადოების წევრებს შორის ბევრი მეტად გავლენიანი და მოწინავე საზოგადო მოღვაწე, პატრიოტი, მეცნიერი იყო: ივანე გომართელი, გერონტი ქიქოძე, გიორგი ჯავახიშვილი, სიმონ ხუნდაძე, ექვთიმე თაყაიშვილი და სხვა. 1915 წლის ბოლოსათვის ეს საზოგადოება 1700 წევრს ითვლიდა.

საქველმოქმედო საზოგადოებას საქართველოს თითქმის ყველა რაიონში ჰქონდა გახსნილი თავისი განყოფილება. ასეთივე განყოფილება არსებობდა ბათუმშიც, რომელიც დაარსდა 1915 წლის აპრილში.

საქველმოქმედო საზოგადოების ბათუმის განყოფილება ნივთიერ, საექიმო, იურიდიულ და მორალურ დახმარებას უწევდა ბათუმის ოლქის ქართველ მაჰმადიანებს, სისტემატურად ეხმარებოდა აჭარის გაჭირვებულ მოსახლეობას.

აჭარის დიდი ქომაგი აპოლონ წულაძე ქართული საქველმოქმედო საზოგადოების მიერ აჭარაში გაწეული მუშაობის შესახებ წერდა: „საზოგადოებისათვის საჭირო იყო ადგილობრივ აჭარაში გაეგო ყველაზე ადრე თუ რა დახმარებას საჭიროებდნენ აჭარლები. საჭირო იყო საზოგადოებას სცოდნოდა, რამდენი მცხოვრები დარჩა აჭარაში და რა აკლიათ მათ და რა დანაკლისი ნახეს აჭარლებმა. საზოგადოებამ აჭარაში გამოგზავნა  პავლე საყვარელიძე. იმავე მიზნით ბაქოს ქართველმა საზოგადოებამ პავლესთან ერთად გამოაგზავნა პეტრე ქავთარაძე. აი, ამ ორმა ახალგაზრდამ ფეხით შემოიარეს მთელი აჭარა, თავისი თვალით შეამოწმეს აჭარაში მომხდარი უბედურება; დღეს კაცები დაბრუნდნენ თბილისში და საქველმოქმედო საზოგადოებას მოახსენეს, რომ აჭარლებს აკლიათ

მჭადი და არა აქვთ მარილი, საპონი... აჭარაში აუცილებლად უნდა გაიგზავნოს ექიმი, ფერშალი და ბებია ქალი, მათვე უნდა გავატანოთ საჭირო წამლები... საზოგადოებამ იყიდა კავკავში სიმინდი, ჩაიტანა ბათუმში და ქართული საზოგადოების აქაურ (ბათუმის განყოფილებას ჩააბარა აჭარაში დასარიგებლად. როცა თქვენი(იგულისხმება აჭარის მ.დ.) გასაჭირის დაწვრილებით ამბავი გაიგო, მაშინვე კიდევ იყიდა სიმინდი, თოხები და წალდები, საპონი, მარილი და სხვა". (წულაძე ა,- ბათუმი, 1991 გვ;75-76)

ა. წულაძე, უპირველესად, ყურადღებას აქცევს აჭარის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას და შემდეგ დასძენას: „ქართული საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე მიხეილ ვახტანგის ძე მაჩაბელი, თავმჯდომარის ამხანაგი პართენ ალექსანდრეს ძე გოთუა, საზოგადოებრივი ხაზინდარი ვასილ როსტომის ძე ყიფიანი, საზოგადოების მდივანი პავლე საყვარელიძე. გარდა ზემოთ მოხენებული პირობებისა, საზოგადოების გამგეობის წევრებია: თავადი იოსებ ალექსანდრეს ძე ბარათაშვილი, გრიგოლ თეოდორეს ძე რცხილაძე, გიორგი იესეს ძე ცინცაძე, მიხეილ ერმალოზის ძე ლაღიძე, ივანე გედევნის ძე გომართელი (ექიმი), ფილიპე გაბრიელის ძე გოგიჩაიშვილი, გერონტი დიმიტრის ძე ქიქოძე. ეს პატივცემული პირები კვირაში ორჯერ, ხან სამჯერაც იკრიბებიან და საერთო ძალღონით ცდილობენ გამონახონ თქვენი დასახმარებელი საშუალება. ამათი მეცადინეობით გადაიდვა საკმაო თანხა, რომლითაც აჭარა-ქობულეთში და იმერხევში უნდა გაიხსნას სკოლები". (წულაძე ა,-ბათუმი, 1991 გვ;76-77)

გაჩანაგებული და კულტურულად დაუძლურებელი აჭარის ფეხზე წამოდგომა და დედასამშობლო საქართველოსთან მისი დაახლოება, რომლისთვისაც მთელი ქართველი ერი იღვწოდა, მხოლოდ და მხოლოდ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ახლებურად წარმართვით იქნებოდა

შესაძლებელი. სწორედ ამ კუთხით „ ქართული საქველმოქმედო საზოგადოების“ გამგეობა აცნობიერებდა აჭარაში შექმნილ ვითარებას და მის მიერვე დაარსებული განათლების კერების მეშვეობით ცდილობდა მაჰმადიან მოძმეთა შორის ქართული ცნობიერების განმტკიცებას.

„ქართული საქველმოქმედო საზოგადოების“ დაარსების დროს, აჭარაში მხოლოდ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სკოლა თუ ასრულებდა თავის დანიშნულებას. არსებობდა რამდენიმე დაწყებითი სკოლაც, სადაც სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, ხოლო ქართულ ამ სკოლებში ქართული ენის უცოდინარი მასწავლებლები ასწავლიდნენ. „გაზეთი საქართველო იუწყებოდა“... ხულოს რაიონის სოფელ დიოკნისის სკოლაში მასწავლებლად იყო სპარსელი ბ. ვექილოვი და მის მეუღლე ეროვნებით რუსი. არცერთმა ქართული არ იცოდა. მათმა მოსწავლეებმა კი არც თათრული და არც რუსული არ იცოდნენ, და თუ რა ნაყოფის მოტანა შეეძლებოდა ასეთ მასწავლებელს, ადვილი წარმოსადგენია“. (წულაძე ა,-1916, N89)

აჭარაში მშობლიურ ენაზე სწავლა-განათლების უაღრესად მძიმე მდგომარეობა დიდი ხანია გულს უკლავდა აჭარის ადგილობრივ მოსახლეობას. მათ კარგად ესმოდათ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ქონდა მათთვის ქართული ენის სწავლებას, მეცნიერების ელემენტარული საწყისების დასაუფლებლად.

საქველმოქმედო საზოგადოებამ დაინახა აჭარის მოსახლეობის აშკარა მისწრაფება განათლებისადმი და გადაწყვიტა აჭარის მოსახლებისათვის გაეხსნა პირველ-დაწყებითი ქართული სკოლები. 1915 წლის 26 ნოემბერს გამგეობას მოუწვევია კრება, რომელმაც დასვა აჭარაში ქართული სკოლების გახსნის საკითხი და პრაქტიკულადაც შეუდგა საქმის განხორციელებას. „ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ“ სკოლების გახსნისათვის ერთდროულად გაიღო 16 000 მანეთი, ხოლო ყოველდღიური ხარჯების დასაფარად 800 მანეთი.

გამოყოფილი თანხა საკმარისი იყო წინასწარ გამიზნული 4 სკოლის გასამართავად და შენობათა შესაძენად. სასკოლო საქმის პრაქტიკული მოგვარება და საერთო ხელმძღვანელობა დაევალა 1915 წლის დეკემბერში თბილისიდან ბათუმში ჩამოსულ ღვაწლმოსილ პედაგოგს იერემია გულისაშვილს. მან მოაიარა ხულო და ქედა. დააზუსტა თუ სად იყო პირველ რიგში სკოლების დაარსება. მოინახულა ჰაიდარ აბაშიძე და სიხარულით აუწყა: „აჭარაში მშობლიური სკოლების გახსნის საკითხზე ვარ გამოგზავნილიო“.

ჰაიდარ აბაშიძე იგონებს: „ი. გულისაშვილის სახელი ადრეც გამეგონა, მაგრამ პირადად პირველად შევხდი. ამ შეხვედრისას ქართველი ხალხის მიერ უკეთილშობილეს საქმეზე წარმოგზავნილი იერემია მხსნელად მეხატებოდა და არც ვცდებოდი, რადგან მისი ხელმძღვანელობით უნდა ამხდარიყო ჩვენი დიდი ხნის ოცნება, რაც უპირველეს ყოვლისა გამოიხატებოდა აჭარაში ქართული სკოლის გახსნით“. (აბაშიძე ჰ,-1958, N90)

იერემია გულისაშვილმა გადალახა ყველა დაბრკოლება, გვერდში ამოიყენა აჭარაში პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები. სკოლების დაარსების დიდ სამზადისში აქტიურად გულისაშვილთან ერთად ჩაება მოწინავე პედაგოგი არსენ წითლიძე. 1916 წლის 2 იანვარს ბათუმში მოიწვიეს საზოგადოების განყოფილების გამგეობის კრება. განსახილველ საკითხს, თუ სად უნდა გახსნილიყო სკოლები, ცხარე კამათი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა მოჰყვა. გამგეობის წევრთა ერთი ნაწილი მიიჩნევდა, რომ სკოლებთან პანსიონიც უნდა მოწყობილიყო, რომელიც ხელს შეუწყობდა აჭარის შორეული სოფლებიდან სკოლებში მოსწავლეთა მოზიდვას. კამათი გამოიწვია იმანაც, თუ სად უნდა გახსნილიყო სკოლები. ბათუმის სკოლის მასწავლებელმა ალ. ელაძემ მოითხოვა, რომ აჭარის მოსახლეობის მოზრდილთა მნიშვნელოვანი ნაწილი იქ დაეუფლებოდა წერა-კითხვას, შემდგომ თბილისისა და ქუთაისის გიმნაზიებში გაეგრძელებინათ სწავლა.

კრების გადაწყვეტილებით სკოლები უნდა გახსნილიყო ხულოში-(ღორჯომში), ქედაში(საღორეთში), ჩხუტუნეთში, ყოროლისთავსა და ალამბარში; გადაწყვიტეს 2 სამეურნეო სკოლის გახსნაც: პირველი ქობულეთში, მეორე ქედაში.

26 თებერვალს კვლავ გაიმართა კრება ბათუმში. კრებაზე მოხსენებით გამოვიდნენ ი. გულისაშვილი, ა. წითლიძე. „თებერვალში საქველმოქმედო საზოგადოების მთავარმა გამგეობამ მოიწვია სხდომა, სადაც მიიღო და დაამტკიცა სასკოლო კომისიის მიერ შედგენილი ხართაღრიცხვა აჭარის 9 სკოლისათვის, სულ 61,790 მანეთის ოდენობით წელიწადში. ამის გარდა, ბათუმის ოლქში სამოგზაურო ხარჯებისათვის გულისაშვილს მიეცა 1226, ხოლო წითელაძეს 100 მანეთი''. (ბაბილოძე გ,-ბათუმი,1959,გვ.39)

17 მარტს კავკასიის სასწავლო ოლქის ქუთაისის სახალხო სასწავლებლის დირექტორმა საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ გამგეობას გაუგზავნა მიმართვა N23036, რომელშიც ნათქვამი იყო: „თქვენს ა. წ N2372/11 მიმართვაზე გაცნობებთ, რომ ჩვენს მიერ ნებადართულია სკოლები გაიხსნას სოფლებში 1) აგარაში-დიდაჭარის ოკრუგში; 2)ალამბარში-კინტრიშის უჩასტკა; 3) ყოროლისთავში-კინტრიშის უჩასტკა; 4) აგარაში-ქედის უჩასტკა; 5) ზედა აგარაში (ხულო); 6) ჩხუტუნეთში-მაჭახლის უჩასტკა; 7) წყალსიმერში-იმერხევის უჩასტკა'' (საქ. ცსა. ფ. N517, საქ. 36 ფ 146)

საბოლოოდ დაზუსტდა, რომ აჭარის ექვს სოფელში უნდა გახსნილიყო პირველ-დაწყებითი სკოლები და მართლაც მეცადინეობა მალე დაიწყო შემდეგ სკოლებში: ყოროლისთავში - 4 მარტს (ორკომპლექტიანი) , ხუცუბანში -6 მარტს ( სამკომპლექტიანი) , ალამბარში - 7 მარტს (ორკომპლექტიანი), ჩხუტუნეთში -10 მარტს (ერთკომპლექტიანი) , ქვედა აგარში (ქედა) -15 მარტს (ერთკომპლექტიანი),

ზედა აგარაში (ხულო) -15 მარტს (ერთკომპლექტიანი), მოგვიანებით გაიხსნა ერთკომპლექტიანი სკოლა წყალსიმერში.

ეს ქართული სკოლები აჭარაში გაიხსნა 1914 წლის პირველი ივლისის კანონის მიხედვით : ამ კანონის თანახმად , ყველა კერძო სკოლას ნება ეძლეოდა სწავლა-აღზრდის საქმე მშობლიურ ენაზე ეწარმოებინა.

1914 წლის კანონი მშობლიურ ენაზე სწავლების უფლებას აძლევდა არასახელმწიფო სკოლებს, რადგან მათ მოსწავლეებს არ ჰქონდათ უფლება საუნივერსიტეტო განათლების მიღებისა. სახელმწიფო სკოლებში კი რუსულ ენაზე უნდა წარმართულიყო სწავლება , რადგან გიმნაზიები რუსული უნივერსიტეტისათვის ამზადებდნენ ახალგაზრდებს.

სკოლების დაარსებასთან ერთად უმწვავეს პრობლემად ითვლებოდა პროფესიონალ მასწავლებელთა კადრების მოზიდვა. ამის შესახებ განცხადებები იბეჭდებოდა საქართველოს ჟურნალ-გაზეთებში, რომლებსაც ფართოდ გამოეხმაურა საქართველოს მასწავლებელთა დიდი ნაწილი. მაგალითად 1915 წლის 2 დეკემბერს საქველმოქმედო საზოგადოებისადმი გაგზავნილ წერილში სოფელ ბახვის (ოზურგეთის მაზრა) ორკლასიანი სკოლის მასწავლებელი კორნელი ბახტაძე წერდა : „გთხოვთ გამაგზავნოთ მასწავლებლად ერთ-ერთ სოფელში.“

ამ საშვილიშვილი საქმეს ხელმძღვანელობა გაუწიეს ი. გულისაშვილმა და ა. წითლიძემ: მათი მეთვალყურეობით შეირჩა და დაინიშნა მასწავლებლად: ყოროლისთავის სკოლაში ელენე ციცქიშვილი და პელაგია გელაშვილი: ხუცუბნის სკოლაში ბარბარე ბრეგვაძე და თამარ დარეჯანაშვილი; ალამბრის სკოლაში სტეფანე ნიკოლაიშვილი და მარიამ კალანდაძე; ჩხუტუნეთის სკოლაში ნიკოლოზ ქამუშაძე და ეთერ რაზიკაშვილი; ქვედა აგარის (ქედა) სკოლაში ნიკოფორე

გეგლია, ზედა აგარის (ხულო) სკოლაში ეკატერინე ქუთათელაძე , წყალსიმერის სკოლაში ივანე კარსანიძე. (ბაბილოძე გ,-ბათუმი, 1975 გვ.36)

აჭარის ქართულ სკოლებში საქართველოს სხვა კუთხიდან მოწვეული მასწავლებლის დანიშვნამდე, მასწავლებლის პიროვნებას შეათანხმებდნენ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველთან , აგრეთვე ადგილობრივი ადმინისტრაციის , ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორთან და შემდეგ ეძლეოდა უფლება ამ პირს ესწავლებინა სკოლაში.

აჭარაში სკოლების გახსნა , ქართულ ენაზე სწავლება და პედაგოგობა დიდ სიძნელებთან იყო დაკავშირებული. სხვათა შორის, ოფიციალური ხელისუფლებას ეწინააღმდეგებოდა ქართული სკოლების გახსნას, რადგან აჭარის მოსახლეობაში ეროვნული თვითშეგნების ამაღლება საშიშროებას უქადდა ჯერ მათ ინტერესებს, და მერე, ისლამის ფანტიკოსების ინტერესებსაც.

როგორც აღინიშნა, ქართული სკოლების გახსნის წინააღმდეგ განსაკუთრებით გამოირჩეოდა მედრესეები; პანთურქისტული იდეებით შეიარაღებული ფანატიკოსი მუსლიმანები ცდილობდნენ საზოგადოებაში დაემკვიდრებინათ ის აზრი, რომ ქართული სკოლების გახსნა გაქრისტიანებას უქადდა მათ.

აღნიშნულის თაობაზე ჰ. აბაშიძე წერდა : „პანთუქრისტების თავხედობა იქამდე მიდიოდა, რომ ისლამის სახელით აჭარლებს უკრძალავდნენ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ სწავლას და ოჯახში შეტანას; მოითხოვდნენ ქართული სკოლების და ქართული თეატრის ნაცვლად აჭარაში გაეხსნათ თურქული სკოლები და თეატრი, მაგრამ პროგრესული ძალები თავდადებით იცავდნენ ერის ღირსებას, ხალხის ერთიანობას.“ (აბაშიძე ჰ,- 1957 N133)

აჭარაში ქართული სკოლების დაარსებას დიდი სიხარულით შეხვდა აჭარის მოსახლეობა. მიუხედავად მაჰმადიანური სასულიერო პირების წინააღმდეგობისა, სულ მოკლე ხანში ბავშვებით აივსო სკოლები. აი რას აღნიშნავდა აჭარის განათლების ისტორიის მკვლევარი გრ. ბაბილოძე: „მაშინ როცა სამინისტროს სკოლებში აჭარისწყალზე , მახუნცეთში , ქედასა და ხულოში მოსწავლეთა რიცხვი არ აღემატებოდა 12-15-ს, საქველმოქმედო საზოგადოების მარტო ქვედა აგარის სკოლაში ირიცხებოდა 83-მდე მოსწავლე. სკოლის გახსნის პირველ დღეებში კი აღნიშნულ სკოლაში 30-მდე ბავშვი სწავლობდა. სულ შვიდივე ქართულ სკოლაში 424 ქალ-ვაჟი“. (ბაბილოძე გ,- ბათუმი, 1975 გვ.37)

ინტერესმოკლებული არ იქნება უფრო ფართოდ განვიხილოთ ზოგიერთი სკოლის დაარსების ისტორია. თავდაპირველად შევეხოთ ხუცუბნის სკოლას .

ხუცუბნის სკოლის ორგანიზება დაევალა არსენ წითლიძეს. რეჯებ ნიჟარაძის თანხვლებით მან მოინახულა ხუცუბანი, შეხვდა ისმაილ კაიკაციშვილს, სოფლის თავკაცებს და გააცნო მათ სკოლის გახსნის გადაწყვეტილება. ხუცუბნელები დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ ამ გადაწყვეტილებას და სასკოლო ნაკვეთიც თვითონ გამოძებნეს.

სკოლის გახსნა ხუცუბნელებმა დიდი ზეიმით აღნიშნეს. შეკრებილთა წინაშე სიტყვით გამოვიდნენ ი. გულისაშვილი, არსენ წითლიძე და ჰაიდარ აბაშიძე.

სკოლაში ჩაურიცხავთ 127 მოსწავლე, რომელთაგან 45 გოგონა იყო. სკოლაში შესვლის მსურველნი მრავლად ყოფილან, მაგრამ უადგილობის გამო 6-7 წლის ბავშვებს უარი უთხრეს მიღებაზე.

შემდგომ ხუცუბნის სკოლა გადაკეთდა სამეურნეო სკოლად, რომლის ბაზაზეც მოეწყო პანსიონი 20 მოსწავლისათვის. მისი ხელმძღვანელობა კვლავაც არსენ წითლიძეს დაევალა. სკოლა მიზნად ისახავდა ჯერჯერობით დაბალი

აგრონომიული განათლების გავრცელებას ქობულეთსა და მთელ აჭარაში. ამიტომ აღნიშნულ სკოლაში მოსწავლეები უნდა მიეღოთ არა მარტო ქობულეთიდან, არამედ აჭარის სხვა კუთხეებიდანაც. სკოლას დიდხანს არ დასცალდა მუშაობა. 1918 წლის აპრილში თურქეთის მიერ აჭარის ოკუპაციამ იძულებული გახადა პედაგოგთა პერსონალი დროებით დაცილებოდა სკოლას. უცხოელი ინტერვენტების გასვლის შემდეგ ხუცუბნის სკოლაში კვლავ განახლდა მეცადინეობა.

ყოროლისთავის სკოლისათვის ნაკვეთი ჰაიდარ აბაშიძეს დედისეული მამულიდან უჩუქებია. სკოლაში 60 მოსწავლეზე მეტი იყო. ყოროლისთავის სკოლის გახსნაზე ამაღელვებელი სიტყვა წარმოუთქვამს ჰაიდარ აბაშიძეს. დამსწრე საზოგადოებას ორატორმა შემდეგი სიტყვებით მიმართა : „ მრავალწამებულ ჩენს ძმებს, რომელნიც მოწყვეტილი იყვნენ დედის თბილ მკერდს, ტკბილ ძუძუს , რომელთაც რამდენიმე საუკუნეა არ მოუსმენიათ დედის ტკბილი ნანინა, არ უმღერიათ მშობლიურ ტკბილ ჰანგზე და არ უწოვიათ დედის ტკბილი ძუძუ, მათ ეს ეღირსათ ჩვენი ღვიძლი ძმების, ქართველი ქრისტიანების დახმარებით იმ ტაძრის საძირკვლის ჩაყრა, სადაც ჩვენი ახალი თაობა, ჩვენი მომავალი გაიკვებება , აღიზრდება ტკბილი დედის ძუძუთი.... მაშ ასე, ძმებო, მოვკიდოთ ხელი სწავლა-განათლებას და მით გავწყვიტოთ ჯაჭვი მონობისა, მაგრად ჩავჭიდოთ ხელი ძმებამა ერთი-მეორეს , ვიმხიარულოთ და მასთან ერთად ავახმაუროთ და ვამხიარულოთ დღემდის მიძინებული ჩვენი მიდამოებიც.“ (აბაშიძე ჰ,- 1916 N55)

როგორც ვხედავთ , აჭარის მთელმა მოსახლეობამ დაინახა განათლების დიდი მნიშვნელობა. მოსახლეობა მოითხოვდა სკოლების გახსნას და დახმარებისათვის წერილობითი ფორმით მიმართავდა საქველმოქმედო საზოგადოებას.

საქართველოს ცენტრალურ არქივში დაცულია ქობულეთის რაიონის სოფელ ლეღვასა და სოფელ ქაქუთის მცხოვრებთა მიმართვა აღნიშნული საზოგადოებისადმი, სკოლის გახსნის საკითხს რომ შეეხება.

ქართული საქველმოქმედო საზოგადოების მიერ გახსნილი სკოლების წარმატება რამდენიმე ფაქტით იყო განპირობებული. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში და მეორე საუკუნის დასაწყისში საქართველოში ორი ერთმანეთის საპირისპირო მიმართულების სკოლა იყო ჩამოყალიბებული პირველი იყო ე.წ. სახელმწიფო სკოლები, რომელიც თითქოსდა მოსწავლეთა განათლების მიზნით , რუსულ ენაზე აწარმოებდა სწავლების პროცესს და მიზნად ისახავდა რუსიფიკატირებული პოლიტიკის გატარებას და მეორე სახალხო სკოლები, რომელთა მთავარ მზრუნველად ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და ქართული საქველმოქმედო საზოგადოება ედგა სათავეში, ისინი მნიშვნელოვან სახსრებს იღებდნენ არსებული სკოლების შენახვისათვის და განათლებას მშობლიურ, ქართულ ენაზე იძლეოდნენ.

„ამ ორ პარალელურად არსებულ და ურთიერთდაპირისპირებული სისტემის სკოლებს პრინციპულად განსხვავებული ნიშან-თვისებები გააჩნია: 1)ცარიზმის სკოლა უარყოფს სწავლების დედაენაზე განხორციელებას, აგრეთვე ქალ-ვაჟთა ერთად სწავლების პრინციპს და არ ცნობს სწავლების საყოველთაო ხასითს. 2) ეროვნული სკოლა თავისი ბუნებითა და შინაარსით არის დედაენაზე სწავლების, აგრეთვე საყოველთაო და ქალ-ვაჟის ერთად სწავლების სკოლა, რომელიც, ამავე დროს, უფასო განათლებას იძლევა. აქედან გამომდინარე, ამ ორი სისტემის სკოლებს აღზრდის პრინციპულად განსხვავებული მიზნები და ამოცანები ჰქონდათ დასახული.“ (ქინქლაძე ო,-გაზ. განათლება,1980 N40)

აჭარაში არსებული ქართული სკოლების პარალელურად არსებობდა მედრესეებიც. კონფესიური სასწავლებელი - მედრესეს სახით, უდიდეს ბარიერს

უქმნიდა ქართულ სკოლებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ქართული სკოლები მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევდა. ამ პერიოდისათვის იზრდებოდა მოსწავლე გოგონათა რიცხვი. მაგალითად , ყოროლისთავის სკოლაში 60 მოსწავლიდან 35 გოგონა იყო, ხუცუბნის სკოლაში - 127 მოსწავლიდან 45, ალამბრის სკოლაში - 100 მოსწავლიდან - 40 და ა.შ.

იმდენად დიდი იყო გოგონათა შორის სწავლის წყურვილი, რომ ქვედა აგარაში გოგონებისათვის ცალკე კლასი გაიხსნა, სადაც გაიგზავნა ქალი მასწავლებელი ნინა იორაშვილი.

აჭარის სკოლებში, უმეტესად, ქალი მასწავლებლები მოღვაწეობდნენ. ეს არ იყო შემთხვევითი მოვლენა. საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობა სწორად მოიაზრებდა აჭარაში ისტორიული ბედუკუღმართობით გამოწვეულ უმძიმეს მდგომარეობას და მიიჩნევდა , რომ არსებული მდგომარეობის დასაღწევად ქალს უფრო მეტის გაკეთება შეეძლო. იგი ორმაგ ფუნქციას ასრულებდა: ერთის მხვრივ, სწავლა-განათლების სხივი შეჰქონდა აჭარის მოსახლეობაში და მეორეც , უმეცრების, ჩამორჩენილობის ბურუსიდან გამოჰყავდა ქალები. „ მას (იგულისხმება ქალი მასწავლებელი - მ. დ.) ორმაგი მოვალეობა ეკისრებოდა: პირველი ის, რომ უნდა აღეზარდა ქართველ მაჰმადიანთა ნორჩი თაობა ეროვნული თვითშეგნებისა და სამშობლოსადმი ღრმა სიყვარულის სულისკვეთებით. მეორეც, მჭიდროს დაკავშირებოდა მკვიდრთა ოჯახებს, ეწარმოებინა მათთან მასობრივ-კულტურული და საგანმანათლებლო მუშაობა. მასწავლებელ ქალებს აჭარაში მეტად სერიოზული როლი ჰქონდათ დაკისრებული. მათ მეტი საშუალება ჰქონდათ, ევლოთ ოჯახებში და თავიანთი ცოდნა გაეზიარებინათ მათი დაჩაგრული დებისათვის.“ (ბაბილოძე გ,- ბათუმი, 1975 გვ.40)

საქველმოქმედო საზოგადოების აჭარის ქართულ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსი იგივე იყო, როგორც „ქართველთა შორის

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სკოლებში. ეს კი იმას მოწმობდა, რომ საქველმოქმედო საზოგადოების სკოლებისათვის განკუთვნილი პროგრამით ყველა საგანი , გარდა რუსული ენისა, ქართულ ენაზე ისწავლებოდა. რუსული ენის სწავლება იწყებოდა მეორე წლის პირველი ნახევრიდან.

საზოგადოების გამგეობის დავალებით იერემია გულისაშვილმა მცირეოდენი შესწორებები შეიტანა ქართული საქველმოქმედო საზოგადოების მუსლიმან ქართველთა სკოლების პროგრამის პროექტში, რომელიც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ შედგენილი პროგრამიდან გამომდინარეობდა; სკოლაში შემდეგი სახელმძღვანელოებით სარგებლობდნენ: ქართულ ენაში - I-II კკ. იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ – III-IV კკ. – „ბუნების კარი“. რუსულ ენაში II-III – IV კკ. – ხრამელაშვილის წიგნი I-II ნაწილი; ბუნების ისტორიაში III-IV კკ. - გოგებაშვილის „დედაენა“ და „ბუნების კარი“; სამშობლოსმცოდნეობაში - II-IV კლასებში ეძლეოდათ ცნობები გოგებაშვილის „დედაენიდან“ და „ბუნების კარიდან“.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს გრიგოლ ბაბილოძის მოსაზრება ქართველ მაჰმადიანთა სკოლებისათვის „დედაენის“ საგანგებოდ შედგენის შესახებ: „ქართველ მაჰმადიანთა სკოლებისათვის სპეციალური „დედა ენის“შედგენის შესახებ ზრუნვა დაიწყო ჯერ კიდევ 1915 წლის აპრილში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასკოლო სექციამ. ახალ სახელმძღვანელოებში სურათები უნდა შეცვლილიყო ადგილობრივი პირობების მიხედვით. მაგალითად: საყდარი - ჯამე, ეპისკოპოსი ან მღვდელი - ხოჯა, მოლა და ა.შ.“ (ბაბილოძე გ,- ბათუმი, 1975 გვ.43)

ვფიქრობთ, ზემოთ მოყვანილი შეხედულება უსაფუძვლოა. მართალია, მუსლიმან ქართველთა სკოლების პროგრამების პროექტში მცირეოდენი ცვლილებები შევიდა, მაგრამ იქ სპეციალური „დედაენის“ შედგენაზე არ ყოფილა

ლაპარაკი; რაც შეეხება სურათებთან დაკავშირებულ ცვლილებებს, იგი ჯერ კიდევ ადრე განახორციელა იაკობ გოგებაშვილმა.

„არსებითი ცვლილებები „დედაენაში“ იაკობ გოგებაშვილმა მოახდინა 1906 წლის 21-ე გამოცემაში, როცა სახელმძღვანელო ორ ნაწილად გაჰყო... „დედაენის“ პირველი ნაწილიდან ამოღებულია „ანგელოზი“, „საყდარი“, “მაცხოვრის ხატი“ და პატარა ლოცვები. მეორე ნაწილში - „სასულიერო ზნეობრივი განყოფილებიდან (ფრჩხილებში მინიშნებული აქვს, რომ ის განკუთვნილია „სამრევლო და სასულიერო სკოლებისათვის“) ამოღებულია შემდეგი მასალა: „ორი ღვთისმიერი ძმა“ და „მოწყალე გვირგვინოსანი“. (კვანტილიანი გ,-თბილისი, 1991 გვ.111-112)

ჯერ კიდევ ადრე, მემედ აბაშიძე მიუთითებდა იაკობ გოგებაშვილს მაჰმადიან ქართველთათვის გარკვეული ცვლილებები მოეხდიდა „დედაენაში“. იაკობმა მართლაც შეიტანა ცვლილებები სახელმძღვანელოში, რის შესახებაც საუბარი აქვს წერილებში „მოკლე პასუხი ბატონ ჯავახელსა“ და „უცნაური ბრალდება“; ამ უკანასკნელში იგი აღნიშნავს: „დედაენაში“ უკანასკნელს სასულიერო განყოფილებისადმი ქრისტიანული ელემენტები გამოტოვებული გვაქვს, რათა ქართველებს, სპარსელებს, კერძოდ ქართველ მაჰმადიანებს საზოგადოდ და ქართველ ურიებს მივსცეთ შეძლება დაუბრკოლებრივ იხმარონ სახელმძღვანელო ქართულის ენისა“...(გოგებაშვილი ი,-თბილისი, 1990 გვ. 570-571)

იაკობ გოგებაშვილის მიერ „დედაენაში“ შეტანილმა ცვლილებებმა აღმოფხვრა ყველა ის გაუგებრობა, რასაც ქართველ პატარა მაჰმადიანებში იწვევდა და შექმნა ყველა ის დიდაქტიკური საფუძველები, რაც პატარებს სჭირდებოდათ. იაკობ გოგებაშვილის შესწორებულ „დედა ენასთან“ ერთად, ქართველმა საქველმოქმედო საზოგადოებამ შეძლებისდაგვარად უზრუნველყო სწავლების ოპტიმალური პირობების შექმნა.

საქველმოქმედო საზოგადოების ქართული სკოლები იმ დროისთვის აღჭურვილი იყო სასწავლო მოწყობილობით და დგამ-ავეჯით, დიდი ადგილი ეთმობოდა თვალსაჩინო მასალების გამოყენებას, რაც სწავლა-აღზრდის სწორი მიმართულების წარმართვის ერთგვარი გარანტი გახლდათ. სკოლები შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფილი იყო ჟურნალ-გაზეთებით, როგორიცაა: „სახალხო ფურცელი“, „საქართველო“, „განათლება“, „ჯეჯილი“, „ნაკადული“, „თეატრი და ცხოვრება“ და სხვა, რითაც სარგებლობდნენ მასწავლებლები, მოსწავლეები და ეცნობოდნენ საქართველოში მიმდინარე პროცესებს.

„ქართული საქველმოქმედო საზოგადოების“ მიერ დაარსებული სკოლების მსწავლებლებისათვის შექმნილი იყო პირობები ნაყოფიერი მუშობისათვის. მათი ჯამაგირი გიმნაზიის მასწავლებელთა ჯამაგირს ჭარბობდა. ამას ადასტურებს აჭარის სახელმწიფო არქივში აღმოჩენელი დოკუმენტი, საიდუმლო პატაკი, რომელიც ბათუმის უბნის უფროსის მიერ ბათუმის ოლქის გუბერნატორისადმია გაგზავნილი. მასში ნათქვამია: „ქართული საქველმოქმედო საზოგადოების“ სკოლების მასწავლებლები, ჩვენს მიერ დაარსებული სკოლების მასწავლებლებთან შედარებით ღებულობენ 3-4-ჯერ მეტ ხელფასს“. (აჭარის ცსა, ფ. N13, საქ, 74, ფ.36)

მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლებს კარგი პირობები ჰქონოდათ მუშაობისათვის. მასწავლებლობა აჭარაში მაინც ჭირდა. ამის მიზეზი საკმაოდ ბევრი იყო, კერძოდ: საგაზაფხულო და საშემოდგომო სამუშოებთან დაკავშირებით, მოსწავლეთა უმრავლესობა არ ცხადდებოდა სკოლაში; აჭარაში დიდი ზამთრის გამო სკოლაში მეცადინეობა თითქმის ერთ თვეს წყდებოდა. მეორე მნიშვნელოვანი მიზეზი იყო ის, რომ ბავშვი სკოლაში შესვლამდე 5 წლის ასაკიდან, მედრესეში იწყებდა სიარულს, სადაც არაბულსა და ოსმალურს ასწავლიდნენ, ხოლო სახალხო სკოლაში - ქართულსა და რუსულს. სკოლაში შესვლის შემდეგ რამოდენიმე ენაზე უხდებოდა სწავლა და თავისი ასაკობრივი და ფსიქოლოგიური თვისებებიდან და

შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ვეღარ ამჟღავნებდა მზაობას ახალი მასალის ასათვისებლად, რაც სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა მასწავლებლებს.

აღნიშნულ მიზეზებს, როგორც აღინიშნა ემატებოდა ამ თურქული ელემენტების რეაქციული ქმედებანი ქართული სკოლების წინააღმდეგ. მათა თავგასულობამ იქამდეც კი მიაღწია, რომ 1918 წლის თებერვალში ისინი შეიჭრნენ ყოროლისთავის სკოლაში და მთლიანად გაძარცვეს; ადგილობრივი მოსახლეობის დახმარება და მხარდაჭერა რომ არა, მასწავლებლებს ფიზიკური ლიკვიდაციის საფრთხე ემუქრებოდათ.

არსებული სიძნელეების მუხედავად, ქართული საქველმოქმედო საზოგადოების მიერ დაარსებული სკოლები მიანც ახერხებდნენ დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც: ქართული საქველმოქმედო საზოგადოების მიერ დაარსებული სკოლების წარმატებას მნიშვნელოვან წილად განაპირობებდა სკოლების მეთვალყურეების ი. გულისაშვილის და ა. წითელიძის სისტემატური კონტროლი და უანგარო დახმარება. ისინი ხშირად ჩამოუვლიდნენ ხოლმე აჭარის სკოლებს. ეცნობოდნენ სასწავლო-აღმზდელობით მუშობას და დროულად აწვდიდნენ ინფორმაციებს თბილისში.

„ქართული საქველმოქმედო საზოგადოების მიერ დაარსებულმა სკოლებმა დროის მოკლე მონაკვეთში დიდი ავტორიტეტი მოიპოვა. ქართული სკოლების მასწავლებელთა წარმატებული საზოგადოებრივი და საგანმანათლებლო საქმიანობის შედეგი ის ფაქტიცაა, რომ მოზრდილთა შორის ბევრმა მოითხოვა მათთვის საღამოს კურსების გახსნა, სადაც მათ მიეცემოდათ საშუალება ქართულ წერა-კითხვასთან ერთად სათანადო განათლებაც მიეღოთ.

საღამოს კურსების მოწყობისათვის უპირველესად საჭირო იყო მთავრობის თანხმობა და აქაც იაქტიურა ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ. აღძრა შუამდგომლობა მთავრობასთან და სათანადო ნებართვის მიღების შემდეგ აღნიშნულმა კურსმა ყველა ქართულს სკოლასთან დაიწყო მუშაობა.

ქართული საქველმოქმედო საზოგადოების დამსახურებაა აჭარაში სამეურნეო სკოლების გახსნა. სასოფლო-სამეურნეო განათლების მიღება ხელს უწყობდა აჭარის მოსახლეობას შეესწავლა აჭარის მდიდარი ბუნება და რაციონალურად გამოეყენებინათ, საზოგადოების სამსახურში ჩაეყენებინათ იგი. ამ მიზნით, როგორც აღინიშნა, ხუცუბნის სკოლა სამეურნეო სკოლად გადაკეთდა.

1916 წელს აღნიშნულმა საზოგადოებამ იზრუნა იმისათვის, რომ გახსნილიყო სამჭედლო-საზეინკლო და სამკერვალო სახელოსნოები. კერძოდ, ხულოში გაიხსნა სამჭედლო-საზეინკლო და სადურგლო სახელოსნო, საჩვენებელი საფუტკრე, ხოლო ბათუმსა და ქობულეთში - სამკერვალო სკოლა - სახელოსნოები. ხულოს სახელოსნოს გამგედ მიიწვიეს გამოცდილი ხელოსანი სიმონ ჯიღაური, უფროსს ოსტატად ანდრია გოჩიტაშვილი, დურგლად - დავით ქართველიშვილი, მეფუტკრედ კი ა. წულაძე.

ხულოს სახელოსნოში 1917 წელს სწავლობდა და მუშაობდა 10 ხულოელი მოსწავლე. თითოეულ მათგანს კვების ფულად თვეში ეძლეოდა 6-6 მანეთი. სახელოსნო დაბალი კვალიფიკაციის პრაქტიკის ხელოსნებს და მეფუტკრეებს ამზადებდა. დიდი პრაქტიკული სამეურნეო მნიშვნელობა სწორედ იმასაც ჰქონდა, რომ მოსწავლეთა კონტინგენტი აქაური ახალგაზრდებით იყო დაკომპლექტებული. სახელოსნო დიდ სამსახურს უწევდა მოსახლეობას, აქვე მზადდებოდა სკოლებისათვის საჭირო ავეჯი, ასევე სკები ფუტკრებისათვის.

როგორც ბათუმში, ისე ქობულეთშიც გახსნილ სამკერვალო სკოლა-სახელოსნოებში ხელობას ეუფლებოდნენ არა მარტო ქალები, არამედ ვაჟებიც.

1917 წლის იანვარში მართლაც გაიხსნა დაწყებითი სკოლა. მასწავლებლად დაინიშნა ბენია გოგიჩაიშვილი, სხვა ცნობები ჯერჯერობით არ მოიპოვება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხულოს რაიონის ზოგიეთ სოფელში 1915 წელს გახსნილა რამდენიმე პირველ დაწყებითი სკოლა. ამ სკოლებში წერა-კითხვას ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებით ასწავლიდნენ.

ა, პ. წულაძე თავის წიგნში „ძმური სიტყვა“ მიუთითებდა: „ზემო აჭარაში ხულოს მასწავლებლის - იოსებ მელიქიშვილის თაოსნობით გადაწყვიტეს 5 ადგილას გახსნან სკოლა და ამ სკოლებში სავალდებულოდ მოითხოვონ ქართული ენის სწავლება“. (წულაძე ა,- ბათუმი, 1991 გვ.87)

საარქივო მასალებით დასტურდება, რომ სკოლები მართლაც გაუხსნიათ თხილვანაში, ფაჩხაში, დიოკნისში, ადაძეებში და ჭვანაში. მასწავლებლად მუშობდნენ: თხილვანაში - თ. დოლიძე, ოლადაურში - ილიკო ნაცვალაძე, ფაჩხაში - მარტინე ბიძინეიშვილი, ადაძეებში - ირაკლი ურუშაძე, დიოკნისისა და ჭვანის სკოლების მასწავლებლების შესახებ ცნობები არ მოიპოვება.

ექვსივე სკოლის გახსნაში დიდი ღვაწლი მიუძღვის იოსებ მელიქიშვილს, რომელიც დარწმუნებული იყო, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული განათლების დიდი საჭიროება.

განვიხილოთ ოლადაურისა და თხილვანის სკოლების დაარსების დაარსების ისტორია. აჭარაში რამდენიმე ქართული სკოლის გახსნის მიუხედავად, სწავლა-განათლებასთან დაკავშირებული პრობლემები გადაუჭრელი რჩებოდა. მსგავსი პრობლემები არსებობდა მარეთის ხეობაშიც (რომლის შემადგენლობაშია სოფელი ოლადაური). პროგრესულად მოაზროვნე პირები იკრიბებოდნენ ოლადაურში და

მსჯელობდნენ სკოლის გახსნაზე. ცდილობდნენ ხმა მიეწოდებინდათ თბილისში აქართული საქველმოქმედო საზოგადოებისათვის, რათა ყურად ეღოთ მათი მოთხოვნა და ოლადაურში გაეხსნათ ქართული სკოლა. ოლადაურელთა თხოვნა ნური ბერიძეს გადაუცია აღნიშნული საზოგადოებისათვის და შედეგსაც არ დაუყოვნებია.

ვაჟა მაკარაძე წერს: „1915 წლის შემოდგომაზე ოლადაურში დაწყებითი სკოლა გაიხსნა, ნური ბერიძეს საცხოვრებლად შეძენილი სახლი დროებით ახალგახსნილი სკოლისათვის დაუთმია. თვითონვე უკისრია სასკოლო ინვენტარის დამზადების ორგანიზება. სასწავლო სახელმძღვანელოები ხულოს დაწყებითი სკოლის მასწავლებლის, ი. მელიქიშვილის დახმარებით მიუღია და სოფელში ჩამოუტანია“. (მაკარაძე ვ,- ბათუმი, 2003 გვ. 46)

სკოლა მართლაც გაიხსნა ოლადაურში, მაგრამ არა 1915 წელს, არამედ 1916 წელს. 1914-1915 წლების ომიანობის პერიოდში, როცა აჭარის მოსახლეობას მძიმე პერიოდი ედგა, ახალი ქართული სკოლები არათუ გაიხსნა, არამედ შეიზღუდა ფინანსურად. პირველი მსოფლიო ომისგან გამოწვეულმა სიძნელეებმა არა მარტო კიდევ უფრო რეაქციული გახადა ცარიზმის პოლიტიკა აჭარაში, არამედ სერიოზულად შეაფერხა, ფაქტიურად ხელი შეუშალა დაწყებით განათლებაზე გადასვლის პროგრამას.

„ოლადაურის სკოლაში თავდაპირველად 14 ბავშვი იყო, იგონებს ოლადაურის სკოლის პირველი მოსწავლე- მ. მაკარაძე - სკოლა 1915 წლის შემოდგომაზე გაიხსნა და სწავლება 4 წლიანი იყო. სულ 5 გაკვეთილი ტარდებოდა დილის საათებში. პირველ გაკვეთილზე - ქართული ენა, მეორეზე - რუსული ენა, მესამეზე - მათემატიკა, მეოთხეზე -არაბული, მეხუთეზე - მუსიკა ისწავლებოდა. ქართულ-რუსულ ენებს, მათემატიკასა და მუსიკას ილიკო ნაცვალაძე ასწავლიდა, არაბულს - ნური ბერიძე“. (მიქელაძე შ,-1994, 31 აგვისტო)

1916 წლის ოქტომბერში დაწყებითი სკოლა გაიხსნა თხილვანაში, რომლის სულის ჩამდგმელი ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებასთან ერთად იყო შერიფ ხიმშიაშვილის ქვრივი მესუდე ხანუმი. მან საკუთარი ინიციატივით 2 ოთახი უსასყიდლოდ დაუთმო სკოლას.

ადგილობრივი მოსახლეობის ერთი ნაწილი გულგრილად იყო განწყობილი ქართული სკოლისადმი, საჭირო იყო მოსახლეობაში აგიტაცია სწავლა-განათლების საჭიროებაში დასარწმუნებლად. შერიფ ხიმშიაშვილის შვილმა თემურ ბეგმა მოუწოდა მოსახლეობას ბავშვები მოიყვანეთ სკოლაში და ბაირამის (მუსლიმანური დღესასწაული) დღეს ასე მიმართა მათ: „აი იქ სკოლაში მიიყვანეთ თქვენი შვილები, ასწავლეთ და მაშინ ისე საწველ ფურებად, როგორც თქვენ ხართ, აღარ იქნებიან. მე მინდა თქვენში სინათლე შემოვიდეს.“ (ბოლქვაძე შ,-1996, 12 აპრილი)

თხილვანის სკოლა 25 მოსწავლით დაკომპლექტდა, რომელშიც მეზობელი სოფლებიდან მოყვანილი ბავშვებიც ირიცხებოდნენ. თხილვანის ქართული სკოლის მასწავლებლად მუშობდა თევდორე დოლიძე.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ მეცადინეობა შეწყდა თხილვანის დაწყებით სკოლაში,ხოლო სწავლა განახლდა 1924 წელს.

1917 წელს რევოლუციამდე აჭარაში ყოფილა 11 ქართული სკოლა, აქედან: ერთი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა, ორიც ბათუმში, ქალაქის თვითმმართველობის ხარჯზე (ამათგან ერთი იყო ქალთა, რომელიც გაიხსნა 1898 წელს, ხოლო მეორე ვაჟთა, რომელიც გაიხნა 1899 წელს და 8 სკოლა, რომელიც ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ დაარსა შემდეგ სოფლებში: ყოროლისთავში, ხუცუბანში, ალამბარში, ჩხუტუნეთში, ქვედა აგარაში, ზედა აგარაში, წყალსიმერსა და არდაგანში).

ქართული საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობა დიდ მზრუნველობას იჩენდა იმ სკოლადამთავრებულების მიმართ, რომელთაც შეეძლოთ სწავლის გაგრძელება. სწორედ მათი შემწეობით 1916 წლის სექტემბერში თბილისის სათავადაზნაური სკოლაში მოეწყვნენ ჯ. ნოღაიდელი (შემდეგში ცნობილი მკვლევარი და მეცნიერი), ნ. ლორთქიფანიძე, ი. ქათამაძე და მოწყობილი, რომლებსაც საზოგადოება უხდიდა სწავლის საფასურს და მატერიალურადაც ეხმარებოდა მათ.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქვემოქმედო საზოგადოების გამგეობამ, სამი აჭარელი მოზარდი აბაშიძე, ზაქარაძე და ფაღავა გაგზავნა ავლევის სამეურნეო სკოლაში. სკოლის გამგეობისადმი მიმართულ წერილში გამგეობა მოითხოვდა, რომ გაეთვალისწინებინათ აჭარელი ბავშვების სარწმუნოებაც.

პირველი მსოფლიო ომის დროს დიდად დაზარალდა აჭარა. ბევრი მაჰმადიანი ბავშვი დაობლდა და უსახლკაროდ დარჩა.

საქველმოქმედო საზოგადოებამ მოსახლეობის დიდი გაჭირვება გულთან ახლოს მიიტანა და მუსლიმან ბავშვთა თავშესაფარი დაარსა ქალაქ ბათუმში. გამგედ მიიწვიეს ახალგაზრდა ქართველი მაჰმადიანი ქალი ნაზი შაშიკაშვილი, რომელსაც ბათუმის ქალთა გიმნაზიის 5 კლასი ჰქონდა დამთავრებული, ხოლო მასწავლებლად თბილისიდან გამოიგზავნა ნინო ჭრელიშვილი.

ამრიგად ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ, დიდი დაბრკოლების მიუხედავად, აჭარაში ქართული სკოლების გახსნით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა და დიდი სამსახურიც გაუწია აჭარის მოსახლეობას, მაჰმადიან და ქრისტიან ქართველთა ძმობა-ერთობის დამყარებისა და განმტკიცების საქმეს. საქველმოქმედო საზოგადოებამ სწავლების ქართულ ენაზე დაფუძნებით აჭარის მოსახლეობის დიდი ინტერესი და ნდობა დაიმსახურა. ამით საშუალება მისცა

აჭარის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს ჩაეხედა იაკობ გოგებაშვილის „დედაენაში“ და ზიარებოდა მშობლიური ქართული ენის მადლს, ერთხელ კიდევ განეცადა ქართული წარმომავლობით მოგვრილი სიამაყის გრძნობა, გრძნობა იმისა რომ ისინი სულითა და ხორცით ქართველები იყვნენ.

## III-თავი

## მაჰმადიანური სასკოლო განათლების სისტემა აჭარაში 1878-1917 წლებში

საქართველოს ბევრ ისტორიულ მხარეში, მათ შორის აჭარაში, უმძიმეს ხანად ითვლება ოსმალთა ბატონობის პერიოდი. ოსმალეთმა სამას,წლიანი სისხლიანი ბატონობის დროს გააჩანაგა საქართველოს ეს ძირძველი კუთხე, ნაცარტუტად აქცია მისი მატერიალური კულტურის ძეგლები და ქართული ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის სულიერი

კულტურა. დაპყრობილი მხარეების ქრისტიანული მოსახლეობა მთლიანად გაამაჰმადიანა, რამაც ეროვნული კულტურის დაკნინება გამოიწვია. მართებულად აღნიშნავდა გამოჩენილი ქართველი კრიტიკოსი აკ. ბაქრაძე: ,, მაჰმადიანობამ არაბეთში უზარმაზარი კულტურა შექმნა, ასევე სპარსეთში თუმცა იგი მიტანილი და ძალით გავრცელებული რელიგია იყო. მხოლოდ საქართველოში არ მომხდარა ასე ... ქართული ისლამური კულტურა არ არსებობს. ამის ახსნა იმით შეიძლება, რომ მაჰმადიანობა და ქართული ეროვნული ბუნება-თვისება ერთმანეთს ვერ მოერგო, ვერ შეეთვისა. ალბათ არსებობს კანონზომიერება, ესა თუ ის რელიგია მაშინ უწყობს ხელს ეროვნული კულტურის აღორძინება-აყვავებას, თუ ნაციონალური ბუნება-თვისებისაა და რელიგიის ხასიათის შეთვისება შეგუება შესაძლებელია.'' (ბაქრაძე ა,- თბილისი 1990 გვ.19-20)

ოსმალებმა აჭარაში ეროვნული ქართული ენის ამოძირკვას მიჰყვეს ხელი, რადგანაც კარგად იცოდნენ, რომ ენა არის თავისთავადი, თვითმყოფადი კულტურის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი. ამიტომაც იყო, რომ ქართული ენის ნაცვლად თურქული ენის დამკვიდრებას შეეცადნენ.

> დროთა განმავლობაში ეროვნული ჩვეულებების და მრავალსაუკუნოვანი წიაღიდან აღმოცენებული, ისტორიის ქარცეცხლში გამოტარებული ადათ-წესების ადგილი, დომინანტურად ნელ-ნელა თურქულმა წეს-ჩვეულებებმა დაიკავა. აჭარელთა ყოფა-ცხოვრებაში უკვე მთავარი მაინც ფიზიკურ გადარჩენაზე ზრუნვა იყო, რამაც უარყოფითად იმოქმედა საქართველოს ამ მკვიდრი მოსახლეობის ეროვნულ ცნობიერებაზე. აჭარაში მინელდა კულტურული ცხოვრების მაჯისცემა და საქართველოს ეს ცივილიზებული კუთხე ჩამორჩენილ მხარედ გადაიქცა.
>
> ჰაიდარ აბაშიძე წერდა: ,, მაჰმადის რჯულის მიღების შემდეგაც არ მოასვენეს ხალხი. მერე შეუდგნენ მისი კულტურის აღმოფხვრას. დაუწყეს დევნა ქართულ ენას და განადგურება ისტორიულ-კულტურულ ნაშთებს... მთელი სამი საუკუნის განმავლობაში კულტურული წინმსვლელობის მაგიერ იგი ერთ წერტილზე გაიყინა,

დაჰკარგა ძველი კულტურის ნაანდერძევი, ჩამორჩა უკან თანამოძმე ქრისტიან ქართველებს...“ (აბაშიძე ჰ,- 1915 N26, გვ.25)

ვინაიდან თურქები ეკონომიკურად და კულტურულად მეტისმეტად დაბალ დონეზე იდგნენ, მათ არ შეეძლოთ დაპყრობილი ქვეყნების, კერძოდ, აჭარის წაყვანა კულტურული აღმავლობის გზით, პირიქით, დაპყრობილ ქვეყანაში სხვადასხვა სფეროში არსებული დონე უფრო დაბლა დაწიეს.

სამი საუკუნის განმავლობაში აჭარაში არ გამოზრდილა არც ერთი მეცნიერი და მწერალი, არ დაბეჭდილა არც ერთი მეცნიერული თუ მხატვრული ნაწარმოები. ქართული სკოლები და სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებები თურქულმა მედრესეებმა ჩაანაცვლა.

მედრესე და ჯამე, მხოლოდ ეს ორი დაწესებულება, ეს ორი შენობა-ნაგებობა იყო იმ პერიოდისთვის, რომელთა არსებობასაც თურქები დიდი სიამოვნებით უჭერდნენ მხარს.

მედრესე ეს არის მაჰმადიანური სასკოლო ,,განათლების'' კერა. თურქები, როგორც ყველა დამპყრობელი, დაპყრობილ ქვეყანაში მათი პოლიტიკის გატარებას ცდილობდა და აქაურ მოსახლეობას მათი წესებით ცხოვრებას აიძულებდა. გამომდინარე აქედან, მედრესე თურქი დამპყრობლის ხელში მათი პოლიტიკის გატარების იარაღად იქცა, რომელიც ქართველი ხალხის გათურქებას ისახავდა მიზნად.

ერთი შეხედვით  დაწესებულება, რომელშიც ისლამი ისწავლებოდა, წარმოადგენდა საკმაოდ დიდ საფრთხეს აჭარლებში ეროვნული ცნობიერების გაქრობის და გათურქებისათვის ნიადაგის მომზადებისა.

დიმიტრი ბაქრაძე მედრესეს და აჭარელი ხალხის ყოფის შესახებ წერს: ,,არც ეკონომიკურად, არც გონებრივად, ადგილობრივ მცხოვრებთ ნაბიჯი არ

წაუდგმიათ წინ, ისინი შეიძლება ითქვას უარეს უმეცრებაში არიან, ვიდრე მათი წინაპრები იყვნენ, სანამ თურქები დაიპყრობდნენ... მათ არ აქვთ არც ერთი სასწავლებელი გარდა მეჩეთებთან არსებული უბადრუკი სკოლებისა, ერთი სიტყვით განვითარების გზა მოჭრილი აქვთ.“ (ბაქრაძე დ, ბათუმი,1959, გვ. 19)

აჭარაში უფრო ხშირად არსებობდა ორი ტიპის მედრესე: დაწყებითი და საშუალო. თავდაპირველად, ბავშვები სწავლას იწყებდნენ დაწყებითი ტიპის მედრესეში, სადაც სწავლის ხანგრძლივობა 3-4 წელიწადს შეადგენდა. აქ ისლამთან ერთად ისწავლებოდა თვლა და მათემატიკის ოთხი მოქმედება, თუმცა ადამიანებს ვისაც ამ ყველაფრის სწავლა ევალებოდათ, ანუ ხოჯებს და მოლებს ხშირ შემთხვევაში არ ჰქონდათ შესაბამისი კომპეტენცია მოცემულ საკითხში, რაზეც ცოტა მოგვიანებით ვისაუბრებთ, ვერ აღწევდნენ დასახულ მიზანს და დაწყებით საფეხურზე 3-4 წლიანი სწავლების პროცესში დიდი ვერაფერი ცოდნა ვერ მიჰქონდათ ბავშვებს. უფრო ნათელი რომ იყოს სწავლების პროცესი მედრესეში, განვიხილოთ ერთი დღის მაგალითი: ხოჯა-მოლა მეცადინეობას იწყებდა ლოცვებით, რა თქმა უნდა არაბულ ენაზე, შესთხოვდა ღმერთს თურქეთის სულთნის დღეგრძელობას და ჯანმრთელობას, მის გამარჯვებას ურწმუნოებაზე, ამის შემდეგ მოსწავლეებს უნდა წარმოეთქვათ ,,ამინ’.“ მოლა იწყებდა სწავლებისათვის სამზადისს, ბავშვებს აძლევდა დავალებას და ბავშვები რიტმულად წინ და უკან მოძრაობით იმეორებდნენ მიცემულ დავალებას, ამით მთავრდებოდა სწავლის პროცესი, თითოეული ბავშვი ინდივიდუალურად აბარებდა ნასწავლს.

სწავლა რა თქმა უნდა არ შეიძლებოდა ქართულ ენაზე ან ქართული ჩანაწერის გამოყენებით, ხდებოდა მასალის მექანიკური გაზუთხვა.

აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში დაცულია მცხოვრებთა ჩანაწერები, რომლებიც კიდევ უფრო ნათლად წარმოგვიდგენს როგორი ,,აღზრდა“ იყო მედრესეში. ერთ-ერთ ჩანაწერში მაგალითად, ნათქვამია: ,,სოფელ

საღორეთის (ახლა პირველი მაისი მ. დ.) მედრესეში არ იყო არც ერთი სკამი და მერხი. ხოჯა ასწავლიდა საღვთო სჯულს. ბავშვები ისხდნენ იატაკზე. თვით ხოჯას ჰქონდა კარგი ტახტი, რომელზეც გაშლილი იყო რბილი ლეიბი, ზედ იჯდა ხოჯა ხელში ჯოხით, რომელიც ისე გრძელი იყო, რომ ხოჯას შეეძლო ფეხზე აუდგომლად მოშორებით კუთხეშიც გაეწკეპლა ბავშვები მაგრად. ბავშვები არაბულ სიტყვებს და ლოცვებს ზეპირად სწავლობდნენ. წიგნში წაკითხვა არ შეეძლოთ მეტ ნაწილს. ხოჯა სცემდა ბავშვებს. ზოგჯერ იგი იატაკზე დაყრიდა სიმინდის ან ლობიოს მარცვლებს და ბავშვებს ზედ ტიტველი მუხლებით დააჩოქებდა რამოდენიმე საათის განმავლობაში. ან კიდევ ზოგჯერ ბავშვს ბაწრით ხელ-ფეხს შეუკრავდა, შემდეგ სამართებელი დანით ფეხის ტერფებს თხლად, რამოდენიმე ადგილას გასჭრიდა კანს ისე, რომ სისხლი ოდნავ წამოსვლოდა და ზედ ჭრილობაზე დააყრიდა მარილს. როცა ბავშვი ტანჯვას ვერ აიტანდა და ხმამაღლა იყვირებდა, ხოჯა მას ჩაამწყვდევდა მეჩეთის ქვეშ ბნელ ოთახში, სადაც მთელ დღე-ღამის განმავლობაში ამყოფებდა მშიერს.

მოსწავლე ჯემალ და სულეიმან სამნიძეებს ხოჯამ ჯოხით სცემა წვივებზე. წვივები დაუჩირქდათ და დიდხანს ლოგინად იწვნენ.''

ამ ჩანაწერებით თვალსაჩინო ხდება თუ როგორი არაჰუმანური სწავლება იყო მედრესეებში.

როგორც ზემოთ ვთქვით, დაწყებითი ტიპის მედრესეს გარდა არსებობდა საშუალო ტიპის მედრესე, რომელთა შორისაც ძირითადი განმასხვავებელი იყო ის, რომ დაწყებითი ტიპის მედრესეში სწავლა შეეძლოთ როგორც გოგონებს, ასევე ბიჭებს, მაგრამ გოგონებს მხოლოდ 13 წლამდე, რადგან ამ ასაკისთვის გოგონებს უკვე გასათხოვრად ამზადებდნენ და ამიტომ სწავლის ნაცვლად უკვე საოჯახო საქმეებს ასწავლიდნენ. გასაოცარი იყო ის ფაქტიც, რომ გოგონები წერას არ სწავლობდნენ, ამ ფაქტთან დაკავშირებით კი „განმანათლებლები“ ამბობდნენ,

რომ-,,წერა ქალების საქმე არ არისო, რადგან მათ წერა, რომ ისწავლონ, სამიჯნურო უსტარების წერას დაიწყებენ და ცოდვააო.''

ალბათ ზემოთ თქმულიდან უკვე გასაგებია თუ რაოდენ უუფლებო მდგომარეობაში იყო ქართველი ქალი ოსმალთა ბატონობის ხანაში, თუმცა აჭარელმა ქალმა ასე კარჩაკეტილი და დამონებული მდგომარეობის მიუხედავად უდიდესი როლი შეასრულა აჭარლების ქართველებად დარჩენის საკითხში. თურქებს აჭარელ ქალებთან თითქმის არ ჰქონდათ შეხება, ამიტომ აქაურმა ქალებმა ისევე იცოდნენ ქართული, როგორც თურქეთის უღელქვეშ მოქცევამდე, ამიტომ მომავალ თაობებს ისინი მშობლიური ენის სიყვარულით ზრდიდნენ და ამიტომაც იყო. რომ სამი საუკუნის განმავლობაში არცერთ ოჯახში არ დაკარგულა და დავიწყებულა ქართული ენა.

ჟურნალისტი ა. ფრენკელი, რომელმაც 1878 წელს ბათუმის მხარეში იმოგზაურა, იგი მედრესეში სწავლების პროცესს ასე აგვიწერს: ,, ...ამგვარ სკოლასთან მიახლოებისას, ჯერ კიდევ შორიდან, რაღაც გოდების მსგავსი საშინელი ხმაური მოისმის. ეს ბავშვები ანბანის წიგნს იზუთხავენ, მაგრამ იშვიათად თუ რომელიმე მათგანი ეუფლება წიგნიერებას და სწავლობს წერა-კითხვას.“

რაც შეეხება ხოჯა მოლების განათლების დონეს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხშირ შემთხვევაში ისინი არ იყვნენ შესაბამისი განათლების მქონე, რომ მათ სწავლა-აღზრდის პროცესი ეფექტურად წარემართათ. ეს ყველაფერი გამოწვეული იყო იმითაც, რომ თურქთა ბატონობის ხანაში ვერ ვითარდებოდა განათლება, არ იქმნებოდა საგანმანათლებლო დაწესებულებები და სწორედ ამ ყველაფრის არარსებობით იყო გამოწვეული ხოჯა მოლათა სწავლის დაბალი დონე. მათ უმრავლესობას განათლება მიღებული ჰქონდა აჭარაში, რაც არც თეორიულად და არც პრაქტიკულად არ იყო საკმარისი მათ მასწავლებლად მუშაობისთვის.

ამგვარი სწავლების პირობებში, როდესაც არაკვალიფიციური ადამიანი მოღვაწეობს აღმზრდელად, რა თქმა უნდა სწავლების პროცესში გამოყენებული იქნებოდა სადამსჯელო ღონისძიებები და რა თქმა უნდა ამგვარად აღზრდილი ბავშვი ვერ დაეუფლებოდა მეცნიერულ ცოდნას.

რაც შეეხება თავად მედრესეს შენობა-ნაგებობას, იყო შემთხვევები, როდესაც მედრესეს შენობა აგებული იყო ნანგრევი ეკლესიის ქვით. თურქებს ტრადიციად ჰქონდათ გადაქცეული ეკლესიების დანგრევა, მათ საძირკველზე მედრესეების აგება. თუმცა იყო ისეთი მედრესეებიც, რომლებიც არ იყო ეკლესიის ქვით ნაგები და იყო ფიცრული, ხით ნაშენი. ე. ჭანტურია მედრესის შენობის შესახებ წერდა: ,,მედრესე განთავსებული იყო ჯამის შენობაში, სადაც ეჭირა ერთი ოთახი. მედრესეს ფართი არ აღემატებოდა 40-60 კვ.მ-ს. მედრესესთვის განკუთვნილი ოთახის უმეტესი ნაწილი ჩაბნელებული იყო, მედრესეს შენობის ჭერი, იატაკი, კედლები ხის ფიცრისაგან იყო დამზადებული. სახურავის დიდი ნაწილი დახურული იყო ყავრით ან კრამიტით. აჭარაში მედრესეს შენობას გააჩნდა ერთი შესასვლელი კარი. მედრესეს აღჭურვილობა ძალიან პრიმიტიულს წარმოადგენდა. მასწავლებლის მაგიდასთან იყო 61 სმ სიგრძის და 16-20 სანტიმეტრის სიგანის დაფა. მოსწავლეებს არ ჰქონდათ მერხები, ისინი იატაკზე ისხდნენ.“

როგორც ვხედავთ, მედრესეს შენობის არც ინტერიერი და არც ექსტერიერი გამოირჩეოდა რაიმე განსაკუთრებული მოხატულობით ან მორთულობით, თავად სასწავლო აღმზრდელობით პროცესს რომ დავანებოთ თავი.

მინდა ყურადღება გავამახვილო ერთ ფრიად საინტერესო ფაქტზე. მიუხედავად იმისა, რომ თურქები აჭარაში ფეხს იკიდებენ მეთექვსმეტე საუკუნეში, მათი სასულიერო თუ საგანმანათლებლო დაწესებულებების აგება იწყება დაახლოებით ორი საუკუნის შემდეგ. საოცარია, ნუთუ  დამპყრობელს არ ჰქონდა იმის ძალა, რომ დაპყრობილ ყვეყანაში მათი პოლიტიკის გატარების ერთ-ერთი

ძლიერი იარაღი აქ შესვლის დღიდანვე აეგოთ, მაგრამ სწორედ ეს არის ერთ-ერთი ძლიერი არგუმენტი იმისა, რომ აჭარელ ხალხს იოლად არ დაუთმია მათი ძირძველი რელიგია, რომ ეს კუთხე ოდითგანვე იყო მართლმადიდებლური, აქ ცხოვრობდა ქრისტიანი ხალხი. აჭარელმა ხალხმა ბევრი იბრძოლა თურქთა მძიმე უღლისგან გასათავისუფლებლად, მაგრამ სამწუხარო იყო ის ფაქტიც, რომ სხვა დამპყრობლებთან ბრძოლაში დაღლილი დანარჩენი საქართველო დახმარების ხელს ვერ უწევდა, დედასამშობლოს მოწვეტილ, თურქთა მძიმე უღელში მყოფ აჭარელ ძმებს. მძიმე ბრძოლაში მარტო დარჩენილ და დაღლილ აჭარლებს სხვა გზა არ ჰქონდათ, უნდა შეენარჩუნებინათ ეროვნება, ენა და ამ ყველაფრისთვის მათ დათმეს რელიგია, თუმცა ბევრი სისხლის და სიცოცხლის ფასად. მთელი ორი საუკუნე დასჭირდათ თურქებს აჭარაში ისლამური სამლოცველოებისათვის მრევლი რომ გაეჩინათ, რადგან მრევლის არარსებობის შემთხვევაში არც ამ სამლოცველოების არსებობა იქნებოდა საჭირო.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ მაჰმადიანური სასკოლო ,,განათლება" თურქი დამპყრობლის ხელში იყო ძლიერი იარაღი აჭარაში თურქული კანონების დასამკვიდრებლად, აჭარლებში ეროვნული ცნობიერების გასაქრობად, ქართული ენის ამოსაძირკვად, ქართული კულტურის მოსასპობად და აქაური ხალხის გასათურქებლად.

## IV-თავი

## რუსეთის თვითმყრობელობის სასკოლო განათლების სისტემა აჭარაში 1878-1917 წლებში

როგორც აღინიშნა, 1878 წელს აჭარა იმპერიული რუსეთის მმართველობის ქვეშ მოექცა და დაიწყო მისი კოლონიზაცია. აჭარაში დამყარდა ცარიზმის მმართველობის სისტემა, რომელიც რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარებას ისახავდა მიზნად.

რუსიფიკატორული პოლიტიკა კი ნიშნავდა ქართველი ერის თვითმყოფადობის სრულ იგნორირებას და მოსახლეობის სრულ ასიმილაციას. ,,ქართველი ხალხის ეროვნული ჩაგვრა, რა თქმა უნდა, არ იყო მხოლოდ 80-იანი წლებისათვის დამახასიათებელი მოვლენა. იგი ცარიზმის ბატონობის მთელ პერიოდს, მისი კოლონიური პოლიტიკის შემადგენელი ელემენტი იყო და მეფის რუსეთის მმართველობის დამკვიდრებას მოჰყვა თან. მაგრამ ისეთი გააფთრებული დევნა-შევიწროება, აშკარა დარბევა, რაც ქართველმა ხალხმა რეაქციული ძალების თარეშით განიცადა ამ პერიოდში, არ ახსოვს ცარიზმის ბატონობის 80-წლიან ისტორიას. რეაქციის ძალები საქართველოში არა მხოლოდ ილაშქრებდნენ რევოლუციურ-დემოკრატიული ძალების წინააღმდეგ, არამედ საგანგებო ღონისძიებებსაც ატარებდნენ ქართველი ხალხის, მისი ენის, კულტურისა და ისტორიის მოსასპობად, ქართველი ერის დაქუცმაცებისა და მისი კუთხეების დასაპირისპირებლად, დედასამშობლოსაგან აჭარის, სვანეთის, სამეგრელოსა და აფხაზეთის ჩამოსაშორებლად.“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 1970, 643-644)

აჭარაში რუსეთის თვითმპყრობელობის დამკვიდრების შემდეგ, როგორც ვიცით, მხოლოდ მედრესეები არსებობდა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ბერძნების ეკლესიასთან არსებულ სკოლას.

აჭარაში თურქების განდევნისა და რუსეთის თვითმპყრობელობის დამკვიდრების შემდეგ, ცარიზმი ერთობ ნელა ზრდიდა აჭარის სასკოლო სისტემის

ქსელს და ხელს უწყობდა ფეხი მოეკიდა მაჰმადიანურ სასულიერო სკოლებს-მედრესეებს. ცარიზმის მოხელეები ყოველნაირად ცდილობდნენ დაემცირებინათ ქართული ენის ღირსება და ამით აღმოეფხვრათ ეროვნული მეობის შეგნება, შუღლი ჩამოეგდოთ ქრისტიან და მუსლიმან ქართველებს შორის.

პირველი სამოქალაქო სასწავლებელი აჭარაში დარსდა 1881 წლის 1 ივლისს. ეს იყო ბათუმის საქალაქო სამკლასიანი სასწავლებელი, რომელიც 1899 წელს გადაკეთდა ექვსკლასიან სასწავლებლად. 1881წლამდე, როგორც ზევით იყო აღნიშნული აჭარაში არ ყოფილა არც ერთი სამოქალაქო სასწავლებელი, გარდა მედრესეებისა: არსებობდა მხოლოდ ერთი ბერძნული საეკლესიო სამრევლო სკოლა, რომელიც გახსნილია ჯერ კიდევ თურქების ბატონობის პერიოდში-1861წელს. ა. ფრანკელის ცნობით, ეს სკოლა არ იყო სამოქალაქო. ს. მესხის ცნობის მიხედვით აღნიშნული სკოლა იმყოფებოდა ბერძნული ეკლესიის მღვდლის გამგებლობაში, ასწავლიდა ერთი მასწავლებელი, რომელიც ხელფასს იღებდა მოსწავლეთა მშობლებისგან და არ იყო სამოქალაქო, უფრო იყო საეკლესიო. 1886 წელს გაიხსნა ბათუმის ქალთა რუსული ორკლასიანი სასწავლებელი, რომელიც 1890 წელს გადაკეთდა მარიამის, პავლე პირველის მეუღლის სახელობის ქალთა სასწავლებლად. 1886წელს-ბათუმის ბერძნული საეკლესიო-სამრევლო სასწავლებელი, 1892 წელს სომხურ-კათოლიკური სასწავლებელი, 1898 წელს-ბათუმის ქალთა, ხოლო 1899 წელს-ვაჟთა ერთკლასიანი ქართული დაწყებითი სასწავლებელი და ა.შ აღნიშნული ქართული სკოლები იმყოფებოდა ქალაქის მმართველობის ხარჯზე.

აჭარის სოფელში პირველი ქართული სახალხო სასწავლებელი გაიხსნა 1892 წელს. ეს იყო ხულოს ნორმალური ორკლასიანი სასწავლებელი. სოფლად სკოლების  რიცხვი თანდათან მატულობდა: 1896 წელს გაიხსნა მარადიდის

სასოფლო ერთკლასიანი სასწავლებელი, 1899 წლს-აჭარის სასოფლო ორკლასიანი სკოლა და ა.შ.

ცარიზმმის პერიოდში აჭარაში არაერთი სკოლა და გიმნაზია გაიხსნა, თუმცა მიჭირს  იმის თქმა, რომ ეს სასწავლებლები ხალხზე და მომავალი თაობის განათლებაზე იყო ორიენტირებული. საკმარისია აღინიშნოს, რომ აჭარაში რუსეთის ბატონობის მანძილზე, ე.ი 39 წლის განმავლობაში ბათუმის გიმნაზია დაამთავრა მხოლოდ სამმა აჭარელმა, ისიც ბეგ-აღების შვილებმა.

ეს სკოლები უსარგებლო ცოდნას იძლეოდა და ვერ ამზადებდა ახალგაზრდობას ცხოვრებისთვის.

რევოლუციამდელ სკოლაში სწავლება წარმოებდა დოგმატური მეთოდებით, მას ახასიათებდა ზერელობა და ფორმალიზმი, რასაც ნათლად მოწმობს ყოველი ტიპისა და საფეხურის სკოლის მაშინდელი სასწავლო გეგმები.

ქართულ ენას, როგორც არა სავალდებულო საგანს, ასწავლიდნენ მხოლოდ დაბალ კლასებში, ამასთან მასწავლებლად ნიშნავდნენ უვიც პირებს, რადგან მათ შტატის მასწავლებლად არ თვლიდნენ. ამის გარდა, ქართული ენისა და სხვა საგნების მასწავლებლებს შორის დიდ განსხვავებას ჰქონდა ადგილი ხელფასის მხრივაც. მაგალითად, ბათუმის საქალაქო დაწყებითი სკოლების თითოეულ მასწავლებელს წლიურად ეძლეოდა 800 მანეთი, ამავე სკოლების ქართული ენის მასწავლებლებს კი 360 მანეთი. ქართულ ენას უთმობდნენ მე-5, უფრო ხშირად მე-6 გაკვეთილებს, როცა მოსწავლები მოქანცული იყვნენ და უხალისოდ სწავლობდნენ.

ვაჟთა გიმნაზიებთან შედარებით ქალთა გიმნაზიები მნიშვნელოვნად მცირე ცოდნას იძლეოდნენ. რუსულ ენასა და ლიტერატურას ქალთა გიმნაზიებში მთელი კურსის განმავლობაში ეთმობოდა 736 საათი, ხოლო ვაჟთა გიმნაზიებში-1,280 საათი; მათემატიკას-736 საათი. ვაჟთა გიმნაზიაში- 1,216 საათი; ა.შ. ისიც კი, რაც

პროგრამით იყო გათვალისწინებული, ქალთა გიმნაზიებში ისწავლებოდა გამარტივებული სახით. ამას გარდა, ქალთა გიმნაზიას ჰქონდა შვიდი კლასი (მე-8 იყო პედაგოგიური კლასი), ხოლო ვაჟთა გიმნაზიის 8 კლასი.

სწავლების შინაარსის მიხედვით კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობა იყო დაწყებით სკოლებში, რასაც მოწმობს საქართველოს და, მაშასადამე, აჭარის ქართული დაწყებითი სკოლებისთვის 1898 წლიდან შემოღებული შემდეგი სასწავლო გეგმა:

| სასწავლო საგნები | პირველ განყოფილებაში | მეორე განყოფილებაში | მესამე განყოფილებაში | სულ |
|---|---|---|---|---|
| საღვრთო რჯულ. | 6 | 6 | 6 | 18 |
| რუსული ენა | 8 | 8 | 8 | 24 |
| არითმეტიკა | 5 | 5 | 5 | 15 |
| სუფთა წერა | 2 | 2 | 2 | 6 |
| მშობლიური ენა | 3 | 3 | 3 | 9 |
| საეკლესიო გალო | 3 | 3 | 3 | 9 |
| **ჯამი** | 27 | 27 | 27 | 81 |

ამრიგად, რუსული ენა ისწავლებოდა პირველი კლასიდანვე და მას თითქმის სამჯერ მეტი დრო ეთმობოდა, ვიდრე მშობლიურ ქართულ ენას. კიდევ მეტი, ქართული ენა ცხრილის გარეშე ისწავლებოდა, მაშასადამე, სრულფასოვან

სასწავლო საგნად არ ითვლებოდა. ქართულ ენას იმდენივე დროს უთმობდნენ, რამდენსაც საეკლესიო გალობას.

ილია ჭავჭავაძე არაქართულ ენაზე სწავლებას უპირისპირებს მსოფლიოს გამოჩენილი პედაგოგების შეხედულებებს მშობლიურ ენაზე სწავლების აუცილებლობის შესახებ. მოჰყავს რუსი პედაგოგის უშინსკის მეცნიერული შეხედულებები მშობლიურ ენაზე სწავლების მნიშვნელობის შესახებ და დასძენს: ,, ჩვენ რომ ეგრე დაჟინებით, უკან დაუხევლად ვთხოულობთ დედაენისათვის სრულს და დაუბრკოლებელს გზას სასწავლებელში, ეგ მარტო დედაენის სიყვარულით არ მოგვდის, ვთხოულობთ და ვნატრობთ იმიტომაც, რომ უდედაენოთ გონების გახსნა ბავშვისა ყოვლად შეუძლებელია, მაშინ სკოლა  გონების გახსნის სახსარი კი არ არის, გონების დაჩაგვრისა, გონების დახშვისა, დათრგუნვისა და განა ეს სასურველია ვისიმე?“ (ჭავჭავაძე ი,- თბილისი 1987 გვ:554)

ცარიზმი არ იყო დაინტერესებული აჭარის და საერთოდ მათ დაქვემდებარებაში მყოფი გუბერნიების მოსახლეობაში ელემენტარული განათლების შეტანით. ჟურნალი ,,განათლება'' იუწყებოდა: ,,ხალხის განათლებაზე მთავრობის უყურადღებობას ადასტურებს აგრეთვე ის ფაქტიც, რომ პირველდაწყებითი სწავლის მიღებისათვის ამავე პერიოდში (1900-1901 წწ.) ჩვენში წლიურად თითო სულზე გათვალისწინებული იყო 8 კაპ., ხოლო სამხედრო ხარჯები 32 მან. 16 კაპ.'' (ჟურნ. ,,განათლება“, 1908, N1 გვ.15)

ცარიზმის მიერ აჭარაში დაარსებული სასწავლებლები ვერ უზრუნველყოფდა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსი მოწყვეტილი იყო საზოგადოებრივ ცხოვრებას და არ პასუხობდა ხალხის მოთხოვნებს.

ამრიგად, იმპერიული რუსეთის მიერ დაარსებული სასწავლებლები ვერ უზრუნველყოფდა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას. სასწავლო-

აღმზრდელობითი  მუშაობის შინაარსი მოწყვეტილი იყო საზოგადოებრივ ცხოვრებას და ვერ პასუხობდა ხალხის მოთხოვნებს.. და მაინც, დაარსებულმა სასწავლებლებმა გარკვეული წვლილი შეიტანეს აჭარის მოსახლეობაში წერა-კითხვისა და ელემენტარული განათლების გავრცელების უმნიშვნელოვანეს საქმეში.

# დასკვნები

ოსმალთა სამსაუკუნოვანი ბატონობის პერიოდში აჭარაში ვერ ჩამოყალიბდა ისლამური კულტურა. ხალხმა თავის წიაღში შეინახა და გამოატარა ეროვნული კულტურის ნიშნები, პირველ რიგში ქართული ენის სახით.

1878 წელს აჭარამ თურქთა სამსაუკუნოვან ბატონობას თავი დააღწია და დედასაქართველოს დაუბრუნდა. მიუხედავად იმისა, რომ ცარიზმი კოლონიურ პოლიტიკას ატარებდა როგორც მთელ საქართველოში, ისე საქართველოს ამ რეგიონშიც, აჭარაში მის დამკვიდრებას მაინც პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. აჭარის ერთ დროს დაკნინებული სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული ვითარება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, რამაც ნოყიერი ნიადაგი შექმნა საგანმანათლებლო სფეროს განვითარებისთვის.

ოსმალთა ბატონობისგან განთავისუფლებულ აჭარაში სამი სასკოლო სისტემა ჩამოყალიბდა: ა) არსებობას განაგრძობდა მაჰმადიანური სკოლები – მედრესეები, ბ) რუსეთის ბატონობის დამყარების გამო შეიქმნა ცარისტული სასკოლო სისტემა, გ) დედასაქართველოსთან დაბრუნებულ აჭარაში საქართველოს ეროვნული ძალების დახმარებით შეიქმნა ქართული სასკოლო სისტემის გავრცელების ხელსაყრელი პირობები.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თაოსნობით 1881 წლის მარტში გახსნილი ბათუმის პირველი ქართული სკოლა წარმოადგენდა ისეთ სასწავლო-საგანმანათლებლო ცენტრს, რომელიც ქართული ენისა და კულტურის პროპაგანდას ეწეოდა თურქეთის სამასწლიანი ბატონობისაგან გათავისუფლებული ბათუმის ოლქში. იგი თავისი მიზანსწრაფულობით აღვივებდა

მაჰმადიან მოსწავლეებში ეროვნულ გრძნობას, უპირისპირდებოდა ცარიზმის თვითმპყრობელურ, რეაქციულ, რუსიფიკატორულ პოლიტიკას. სკოლამ თავისი არსებობის მანძილზე, მართალია, ვერ მიიზიდა მაჰმადიან მოსწავლეთა დიდი კონტინგენტი, მაინც შეიტანა მნიშვნელოვანი წვლილი აჭარის მოსახლეობის დეფორმირებული ცნობიერების აღსადგენად, მაჰმადიან ქართველებში ეროვნული შეგნების ჩამოსაყალიბებლად.

,,ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ“ დიდი დაბრკოლების მიუხედავად, აჭარაში ქართული სკოლების გახსნით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა და დიდი სამსახური გაუწია აჭარის მოსახლეობას, მაჰმადიან და ქრისტიან ქართველთა ძმობა-ერთობის გამყარებისა და განმტკიცების საქმეს. საქველმოქმედო საზოგადოებამ სწავლების ქართულ ენაზე დაფუძნებით გამოიწვია აჭარის მოსახლეობის დიდი ინტერესი და ნდობა; ამით საშუალება მისცა აჭარის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს ჩაეხედა იაკობ გოგებაშვილის ,,დედაენა”-ში, გაეთავისებინა იგი, ერთხელ კიდევ განეცადა საკუთარი ქართული წარმომავლობით მოგვრილი სიამაყის გრძნობა, გრძნობა იმისა, რომ ისინი სულითა და ხორცით ქართველები იყვნენ.

მეფის რუსეთის მიერ დამკვიდრებულ აჭარაში საერო განათლებასთან ერთად მაჰმადიანური სასკოლო განათლება თითქმის ხელუხლებელი დარჩა, კვლავაც არსებობდა თურქული რელიგიურ-კონფესიური სკოლები, სადაც სასწავლო პროცესს წარმართავდნენ თურქოფილური და ისლამისტური ორიენტაციის მქონე მოლა-მასწავლებლები, რომლებიც ბავშვებს მათთვის უცხო არაბულ ენაზე აზეპირებდნენ ლოცვებსა და რელიგიურ დოგმატებს.

აღნიშნული სკოლები ემსახურებოდა აჭარელი ბავშვების გათურქებასა და მაჰმადიანური რელიგიური ფანატიზმით გამსჭვალვა. ამასთან, ეს სკოლები ვერ უწყობდნენ ხელს ახალგაზრდების გონებრივ განვითარებას. სწავლებასა და

სწავლაში გაბატონებული იყო უაზრო, მომქანცველი ზუთხვა და მექანიკური წვრთნა, გაბატონებული იყო მკაცრი ფიზიკური დასჯა, რაც მთლიანად იყო მოკლებული ზოგადპედაგოგიურ, მეცნიერულ საფუძვლებს.

ცარიზმის თვითმპყრობელური პოლიტიკა საქართველოსი მკვეთრად გამოხატულ კოლონიალურ ხასიათს ატარებდა. იგი ცდილობდა ადგილობრივი საგანმანათლებლო სისტემა მაქსიმალურად დაექვემდებარებინა საერთო საიმპერიო სისტემასთან. ამრიგად, ოსმალთა ბატონობისაგან გათავისუფლებულ აჭარაში ორმაგი უცხო საგანმანათლებლო სასკოლო სისტემა არსებობდა და ორივე ანტიეროვნული პოლიტიკის განხორციელებას ემსახურებოდა.

აჭარაში მეფის რუსეთის მიერ დაარსებულ სკოლებში სწავლების რუსულ ენაზე წარმართვით რუსეთის მოხელეები ყოველნაირად ცდილობდნენ დაემცირებინათ ქართული ენის ღირსება და ამით აღმოეფხვრათ ,,ინოროდცებში" ეროვნული მეობის შეგნება, შუღლი ჩამოეგდოთ ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა შორის.

იმპერიული რუსეთის მიერ დაარსებული სასწავლებლები ვერ უზრუნველყოფდა მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსი მოწყვეტილი იყო საზოგადოებრივ ცხოვრებას და არ პასუხობდა ხალხის მოთხოვნებს.. და მაინც, დაარსებულმა სასწავლებლებმა გარკვეული წვლილი შეიტანეს აჭარის მოსახლეობაში წერა-კითხვისა და ელემენტარული განათლების გავრცელების უმნიშვნელოვანეს საქმეში.

მიუხედავად აჭარის მოსახლეობის დიდი ნაწილის წერა-კითხვის უცოდინარობისა, ამ მართლაც უმძიმეს ხანაში, მათ მიერ გახსნილ სკოლებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აჭარის მოსახლეობისათვის არა მარტო

ელემენტარული განათლების მიღების, არამედ მათი ეროვნული გათვითცნობიერებისათვის.

უნდა გვახსოვდეს ყველა აღმსარებლობის ქართველს, რომ ყველა ერი უწინარესად იმ კულტურას სცემს პატივს, რომლის შექმნაშიც მონაწილეობდა ისტორიულად.

კარგად გვმართებს დაფიქრება 1878-1917 წწ. განათლების ისტორიის გამოცდილების გასაზიარებლად, რომ ძალდაუტანებლად მოხდეს აჭარის მოსწავლე-ახალგაზრდობის შეგნების ამაღლება ქრისტიანული კულტურისა და სარწმუნოების სფეროში. აქ აშკარად უნდა გამახვილდეს ყურადღება იმაზე, რომ აჭარის მოსახლეობას ქრისტიანი წინაპარი გვყავდა, რომ ქრისტიანობა საქართველოში პირველად აჭარიდან შემოვიდა, რომ აჭარის სულიერი ღირებულებების ფესვები ქრისტიანობის წიაღშია გადგმული.

# ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. აბაშიძე მ.-მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველების სულიერი ერთობა, - გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916, N09.

2. აბაშიძე ჰ.-როდის გავიგე მე რომ ქართველი ვარ,-ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1915, N26, გვ25-27.

3. აბაშიძე ჰ.-სიტყვა წარმოთქმული ყოროლისწყლის სკოლის კურთხევაზე,- გაზ. „საქართველო“, 1916, N55.

4. აბაშიძე ჰ.- აი, როგორ იცვალა ფერი ზღვისპირეთმა, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1957, N133.

5. აბაშიძე ჰ.- ხმა ქრისტიან მოძმეებს, გაზ: „ბათუმის ფურცელი, 1913, N19.

6. აბაშიძე ქ.-ცნობილი პედაგოგი და მამულიშვილი,-გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1958, N90.

7. ახვლედიანი ხ.-,,სახალხო განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში“.

8. ახვლედიანი ხ. - ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან.საქ. ცსა. ფ. N517, საქ 36, ფ 146.

9. ბაქრაძე ,,არქეოლოგიური გათხრები გურიასა და აჭარაში“ გამომცემლობა (საბჭოთა საქართველი) 1959წ.

10. ბაბილოძე გ.-სახალხო განათლება აჭარის ასსრ რესპუბლიკაში1921-1957წწ,-გამომც. „აჭარის სახელგამი“, ბათუმი,1959.

11. ბაქრაძე ა.-რწმენა,-გამომც, „მერანი“, თბილისი, 1990.

12. ბაბილოძე გ.-ნარკვევები განათლებისა და კულტურის ისტორიიდან,-გამომც, „საბჭოთა საქართველო“, ბათუმი, 1975.

13. ბაბილოძე გრ,- „სახლხო განათლება აჭარის ასსრ-რესპუბლიკაში“.

14.ბექირიშვილი ი.-,,აჭარა ქართველი მწერლების შთაგონების წყარო“.

15.ბოჭორიშვილი პ. - გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“.

16. გოგებაშვილი ი.-რჩეული თხზულებანი ტ IV,- გამომც. „განათლება“, თბილისი, 1990.

17. გოგებაშვილი ი.- თხზ. ტ I, -„ინსტიტუტის გამომცემლობა“ თბილისი,1954

18. გუგუნავა ნ.-მემედ აბაშიძე განმანათლებელი,-გამომც „აჭარა“, ბათუმი, 1997.

19. გუგუნავა ნ.-მემედ აბაშიძე განმანათლებელი,-გამომც „აჭარა“, ბათუმი, 1997.

20. გოგებაშვილი ი.- რჩეული ნაწერები ოთხ ტომად, II ტომი, გამომცემლობა „სახელგამი“, თბილისი, 1940.

21. გვარამიძე კ.-თხოვნა ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებას,-გაზ. „ივერია“, 1882, N153.

22. გვარამიძე კ.-ისევ მოწოდება,- გაზეთი „ივერია“, 1882, N176.

23. „დროება“-გაზეთი 1880 წლის გამოცემა.

24. დუმბაძე ნ.- პირველი ქართული სკოლები აჭარაში,-ჟურ. „ჭოროხი“ ბათუმი, 2008, N3.

25. კვანტალიანი გ,- ქრისტიანული რელიგია ი. გოგებაშვილის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში,-დისერტაცია პედაგოგის მეცნ. კანდ. მოსაპოვებლად, თბილისი, 1991.

26. კომახიძე თ.- აჭარის მოამაგენი,-გამომც. „აჭარა“, ბათუმი, 1995ჭავჭავაძე ი.- შინაური მიმოხილვა -ჟურნალი „ივერია“ 1879 N1.

27. მაკარაძე ვ.-ჩემო სკოლავ, მაღალ მთაზე ტაძრივით დადგმულო,-ბათუმის შ. რ. სახ. უნივ. გამოც. ბათუმი, 2003.

28. მახარაძე მ,-ინტელიგენცია და პოლიტიკა,-გამომცემლობა „ლეთა“, თბილისი, 1997.

29. მიქელაძე შ.-ოლადაურის სკოლა,-გაზ. „აჭარა“1994, 31 აგვისტო.

30. მესხი ს.-ბათუმის ქართული სკოლის შესახებ,გაზეთი „დროება“ 1882, N270.

31. მიქელაძე ა.- წერილები აჭარიდან,- „უნივერსიტეტის გამომცემლობა“ თბილისი, 1991.

32. ნიორაძე გ.-პირველი ქართული სკოლა ბათუმში, გამომც.“ცოდნა“ თბილისი, 1958.

33. ჟურნ. „განათლება“, 1908, N1,გვ15.

34. საქ. ცსა. ფ481, საქ26, ფ68.წულაძე ვ.- პირველი ქართული სკოლა აჭარაში,- გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1982

35. საქ.ცსა. ფ481., საქ26, ფ24.

36. ცქვიტირია პ. – „აჭარაში რევოლუციური ისტორიის ნარკვევები.“

37. ქინქლაძე ო,- მაცხოვარი სხივი განათლებისა,-გაზ.“სახალხო განათლება“, 1980, N40.

38. წულუკიძე ვ.-ქ.ს.წ.კ.დ. საზოგადოება, „აჭარა“ -ჟურ.“ლიტერატურული აჭარა“, 1996, N6,გვ.121-137.

39. წულაძე ა.-ძმური სიტყვა,-გამომც.“აჭარა“, ბათუმი, 1991.

40. წულაძე ა.-წერილი აჭარიდან,-გაზ.’საქართველო“,1916, N89.

41. ჭიჭინაძე ზ.- „ქართველ მაჰმდიანთა ცხოვრება“

42. ჭავჭავაძე ი.-თხზულებათა სრული კრებული, ტ IV,-გამომც. „სახელგამი“ თბილისი, 1987.